# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხეირის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 23 იანვარი, 2009 წელი.

№ 12 (6113)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ტყუილს ვიტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს... 5



ქართული ტყუილი მთელ მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი, თანაც გემრიელი და მაღალკალორიულია

## რა სკანდალურ ინფორმაციას ფლობენ „ჩვენი აფხაზეთის“ წევრები?

აფხაზური ინტელიგენცია საქართველოში დასაყრდენ ძალას ეძებს

ოპოზიცია 3

## ქუთაისო, ნინოსათვის იანვარშიც სამაისო! 5

სინათლისა და სიბნელის მარადიული ომი 9

კონკურსანტმა სასამართლოს მიმართა 6

## გულუბრყვილო ალიენდე, გაძარცული პიკასო და გაოგნებული ბაროზუ 2




გიხაროდენ, ჩვენს ხელისუფლებას ძაღლის კუდის გასწორებისა და ყორნის გათეთრების უებრო მეთოდისთვის მიუგნია!

## ლატვია შესაძლოა ნატოდან გამოაგდონ? 4

## სტრატეგიული სიგიჟის ქარტია 8

ტობარიჭესის აშენებას ამერიკის არმიის ინჟინერთა კორპუსი შეძლებს 6

მედვედევი თურმე ჩვენს უსაფრთხოებაზე ზრუნავს 3

...როცა ქვეყანას 394.646 ოფიციალური ღატაკი ჰყავს 4

პრეზიდენტის „ექსპერტიზა“

## „რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფოთშორისო ურთიერთობების აღდგენა შეუძლებელია“



**პოლიტოლოგი ზურაბ აბაშიძე ექსპერტების პრეზიდენტთან შეხვედრას სასარგებლოდ მიიჩნევს.**

**როგორც აბაშიძემ განაცხადა, პრეზიდენტთან შეხვედრა მრავალმხრივ საინტერესო იყო, ვინაიდან, აქტუალური საერთაშორისო საკითხების გარდა, საშინაო პოლიტიკის არაერთ მნიშვნელოვან თემაზეც იმსჯელეს.**

მისივე აზრით, ახლა ქვეყნის წინაშე მწვავედ დგას საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ ევროკავშირის მიერ კონფლიქტის ზონებში საქმიანობისა და საქართველოს მეზობლებთან ურთიერთობის საკითხი.

რუსეთში ყოფილი ელჩის განმარტებით, როცა რუსეთი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე აღებულ ვალდებულებებს არ ასრულებს და საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევით აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა, რუსეთთან დიპლომატიური, ანუ სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების აღდგენა შეუძლებელია.

აბაშიძის თქმით, ხელისუფლება არ აპირებს კერძო პირებს, კომპანიებს აუკრძალოს ურთიერთობა რუსეთის მოქალაქეებსა და კომპანიებთან, მაგრამ ვიდრე სოხუმთან და ცხინვალთან დაკავშირებით მოსკოვი პოზიციას არ შეცვლის, რუსეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფოთშორისი ურთიერთობების აღდგენა შეუძლებელია.

## სააკაშვილს ბევრ საკითხზე მოუწევს დაფიქრება



**პრეზიდენტთან გამართულ შეხვედრაზე ქვეყანაში არსებულ პრობლემებთან ერთად ისეთ პრინციპულ საკითხებზეც ვისაუბრეთ, როგორიცაა მედიის თავისუფლების და ენგურჰესის საკითხი. ამის შესახებ ექსპერტმა ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილმა განაცხადა.**

ექსპერტის თქმით, ამ შეხვედრის შემდეგ მიხეილ სააკაშვილს ბევრ საკითხზე მოუწევს დაფიქრება.

— შეხვედრაზე მწვავე კამათი გაიმართა. ზოგიერთი ადამიანი კვლავინდებურად „კოჭების გაგორებაზე“ იყო გადასული, მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვიდექით ჩვენს აზრზე.

ენგურჰესის ნაწილის გასხვისებასთან დაკავშირებითაც ვისაუბრეთ. სააკაშვილმა ჰესის ნაწილის გაყიდვის მიზეზად ეკონომიკური სარგებელი დაასახელა, მაშინ, როდესაც ის ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს უფრო მიეკუთვნება. საბოლოოდ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულების გასაიდუმლოებული ტექსტი უნდა გაიხსნას, — განაცხადა ხუხაშვილმა.

ექსპერტის თქმით, მართალია, ამ შეხვედრაზე კონსენსუსს ვერ მიაღწიეს, თუმცა ამის მიუხედავად, ასეთი ხასიათის შეხვედრები მნიშვნელოვანია.

— როგორც ექიმი ვალდებულია, დაავადებულს უმკურნალოს, ექსპერტიც ასევე, ვალდებულია, არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ისაუბროს. კარგია, თუ მსგავსი ტიპის შეხვედრები გაგრძელდება, მაგრამ „საბჭოებში“ გაწევრებას არ ვაპირებ, — განაცხადა ხუხაშვილმა.

## საბჭოსთან თანამშრომლობას მივესალმები, მაგრამ...



**პრეზიდენტის ინიციატივას მრჩეველთა საკოორდინაციო საბჭოს შექმნის შესახებ მივესალმები, თუმცა განსაკუთრებულ იმედებს არ ვამყარებ, განაცხადა პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ.**

მისი თქმით, პრეზიდენტთან მრჩეველთა საბჭო ადრეც არსებობდა, თუმცა ის არაეფექტური აღმოჩნდა.

— ერთი შეხვედრა დასკვნების გასაკეთებლად არ არის საკმარისი. მთავარია, თანამშრომლობამ სისტემური სახე მიიღოს. მიხეილ სააკაშვილთან პირველი შეხვედრა აზრებისა და შეხედულების გაცვლა იყო. ნებისმიერ თანამშრომლობას მივესალმები, თუმცა წარსული გამოცდილების გათვალისწინებით დიდად იმედიანად არ ვარ განწყობილი, — განაცხადა საყვარელიძემ.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

თვალში — ნაცარი

# გულუბრყვილო ალიენდე, გადარეული პიკასო და გაოგნებული ბაროზუ

**გიხაროდენ, ჩვენს ხელისუფლებას ძაღლის კუდის გასწორებისა და ყორნის გათეთრების უებრო მეთოდისთვის მიუგნია!**

**მაპატიოს ალიენდეს სულმა შეწუხებისთვის, მაგრამ უფროსი თაობის მკითხველებს, ალბათ, კარგად ეხსომებათ, როგორ აფრთხილებდა კასპელი მიტუა ცხონებულ სალვადორს, — ნუ ენდობი მაგ ეშმაკის ფეხ და კერძ კომუნისტებს, თორემ დაგღუპავენო, მაგრამ...**

**ჰოდა, მას მერე გაჩნდა კიდეც ეს ფრთიანი ფრაზა: ალიენდე, ალიენდე, კომუნისტებს რატომ ენდე! ენდე? ეენდე!!!**

**იმავე ასაკის მკითხველებს კარგად ეხსომებათ გენიალური პიკასოს გადარევის მიზეზიც — ლადო ასათიანის ფუნაგორია: გადაირია პიკასო, რა დავუშავე ნიკასო!**

**აი, ევროკომისიის თავმჯდომარე ჟოზე მანუელ ბაროზუ კი ახალი „ფრუკტია“, ასაკოვანნიც კარგად იცნობენ და თინეიჯერებიც.**

**სწორედ იგი ვნახე გუშინ ტელევიზიით.**

მეო, ამბობდა იგი, თითქმის მთელი ცხოვრების განმავლობაში შუამავლობას ვეწეოდი, აფრიკის საქმეებშიც კი ვასრულებდი საშუამავლო მისიას, **მაგრამ არსად და არასოდეს მინახავს, რომ ხელმოწერილი შეთანხმებები ირღვეოდეს, თანაც ასე ხშირადო.**

ევროპის სახელმწიფოებისთვის უკრაინის გავლით რუსული ბუნებრივი გაზის მიწოდების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების დარღვევას გულისხმობდა ამით გაოგნებული ევროკომისიის თავმჯდომარე.

კარგად მესმის ცივილიზებულ საზოგადოება-ხელისუფლებასთან ურთიერთობას შეჩვეული ამ მოხელისა: პრაქტიკაში პირველად შეეჯახა რუს ხელისუფალთათვის ლამის სახელმძღვანელოდ ქცეულ პრინციპს — „სილა ესტ, უმა ნე ნადო“ და...

ის კი შეეჩეხა პირველად, მაგრამ ჩვენ?

ჩვენ ხომ მაინც გამოგვიცდია, თანაც საკუთარ ტყავზე და, ასევე, თანაც მრავალგზის, რუს დიდმოხელეთა სიმუხთლე თუ ორპირობა?

მაშ კიდევ ერთხელ რად და რისი იმედით ვენდობით?

რუსებთან ერთად ენგურჰესის „ერთობლივ“ მართვაზე ვამბობ.

მაგარი ხელშეკრულება, უფრო სწორად, ურთიერთგაგების მემორანდუმი გავაფორმეთო რუსეთულ კომპანია „ინტერრაოსთან“, ჩვენთვის ყოველმხრივ მისაღები და მომგებიანიო, — გვესმის ქართველ მაღალჩინოსანთაგან.

გამკვირვებია, ღმერთმანი. **რუსეთთან საზიარო ჰაერიც არ გვინდაო, ამტკიცებს ჩვენი ხელისუფლება სიტყვით, და საქმით კი ამ ჰაერის გარდა ყველაფერს სწორედ რუსეთს უგდებს ხელში(?!).**

მით უფრო, რომ ენგურჰესი უბრალო ჰიდროელექტროსადგური არ არის!

თანაც, სადღეისოდ არსებული პოლიტიკური სიტუაციის გამო, არც მარტო ჰესია!



ენგურჰესი ჩვე-ნი-ა!!!

მაშ, რად მივართმევთ ენგურჰესს, ლამის ლანგარზე დადებულს, რუსეთს?

— არაო, ეს „სდელკა“ ჩვენთვის ყოველმხრივ მომგებიანიაო, — ამტკიცებს ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი. ენგურჰესის აქციათა პაკეტი კი არა, აქციების ასივე პროცენტი ჩვენიაო, ერთობლივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი ქართველი იქნებაო, იმ ელექტროენერგიის საფასურს, რომელიც აქამდე აფხაზეთს უფასოდ მიჰქონდა, ახლა რუსეთი გადაგვიხდისო, მანამდე თალოვანი კაშხალის წყალი რომ ფუჭად იკარგებოდა, ახლა მისგან გამომუშავებულ ელექტროენერგიას რუსები გაყიდიან და წელიწადში დამატებით 25 მილიონ ლარს მივიღებთო, თუ რუსულმა მხარემ ხელშეკრულების პირობები დაარღვია, ენგურჰესსაც წავართმევთ და ლამის გირაოდ ჩადებულ „თელასსაც“ და „თბილსრესის“ მეცხრე და მეათე ენერგობლოკებსაცო...

**მოკლედ, მინისტრის სიტყვებით, შავი დედალივით გავკეთებულვართ!**

თქვენს გაზრდა-გახარებას, თქვენი ენა-პირით ჩვენი ხელისუფლების პოზიციის „გამჟღერებელო“ ბატონო მინისტრო, რუსეთელთა ასეთმა გულუხვობა-პირმტკიცობისთვის მზადყოფნამ მაინც არ დაგაეჭვათ? იოტისოდენად მაინც?

რაო, თქვენი აზრით, ჩვენი მოღორების მცდელობაზეც კი საერთოდ აქვთ ხელი აღებული?

**ან იქნებ ჩვენმა ხელისუფლებამ მიაგნო ძაღლის კუდის გასწორების თუ ყორნის გათეთრების უებრო მეთოდს?**

**თუ ასეა, ყვარყვარესი არ იყოს, ამას გვიმალავდით?!**

ეჰ, ალეკო ხეთაგურო, მეტი აღარ გაახურო, რა!

...ახლა სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლებაც აფაფხურდა: თუ ენგურჰესი გასხვისდება, მე ჩემი წილი უნდა მომეცესო.

ესე იგი, უკვე ენგურჰესით სამი დაინტერესებული მხარეა — ჩვენ, რუსეთი და აფხაზეთი.

ვინ იქნება იგი, სამიდან ერთი (ანუ წაგებულიძ?

ვეჭვობ, ის რუსეთი იყოს.

ისიც მეეჭვება, რომ რუსეთმა მის მიერვე აღიარებული აფხაზეთი დატოვოს პირში ჩალაგამოვლებული.

მაშინ ვინ იქნება იმ სამიდან ის ერთი?

**...თავისი პირუმტკიცობა-ორპირობით ევროკომისიის თავმჯდომარე რომ გადარია და კინაღამ პერანგიდან ამოახტუნა, იმ რუსეთისა გჯერათ, ხელისუფალნო?**

**სანამ უნდა გვაყრიდეთ თვალში ნაცარს?**

**მანამ, სანამ მთლიანად არ დააქცევთ ამ ქვეყანას?**

**ეჰ, რამდენია სათქმელ-საკეთებელი, მაგრამ ცერცვიც რომ არ მაქვს?**

**რუსლან რუსია**

პოზიცია

## უკრაინისა და საქართველოს ნატოში მიღება ევროპის უსაფრთხოებას შეუშლისო ხელს

**ევროპელი ექსპერტები ბარაკ ობამას საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას აჩქარებას არ ურჩევენ. ამის შესახებ ინფორმაციას „დოიჩე ველე“ ავრცელებს.**

ექსპერტები რეკომენდაციის მიზეზად საქართველოსა და უკრაინის ჩრდილოეთ ატლანტიკურ ალიანსში გაწევრების პროცესისადმი რუსეთის ნეგატიურ განწყობას ასახელებენ, რაც მეტად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას რუსეთის თანამშრომლობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

ასეთი საკითხებია: ავღანეთი, ირანი, სამხრეთ კორეა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების დემოკრატიული განვითარება.

ევროპელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოსა და უკრაინის ალიანსში გაწევრების საკითხის პოლიტიზება ევროპის უსაფრთხოებას პრობლემებს შეუქმნის. რუსეთ-ამერიკის დაპირისპირება კი, მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

— აქედან გამომდინარე, ამერიკის შეერთებული შტატების ახალმა ადმინისტრაციამ თავი უნდა შეიკავოს ალიანსში საქართველოსა და უკრაინის დაჩქარებული ტემპით გაწევრებისგან და აქცენტი ამ ქვეყნების მეტ დემოკრატიზაციაზე უნდა გააკეთოს, — ნათქვამია ექსპერტთა მოხსენებაში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

ოპოზიცია



# რა სკანდალურ ინფორმაციას ფლობენ „ჩვენი აფხაზეთის“ წევრები?

## აფხაზური ინტელიგენცია საქართველოში დასაყრდენ ძალას ეძებს

**აგვისტოს ომმა პოლიტიკური წახნაგები ბევრგან შეცვალა. ე. წ. სამხრეთ ოსეთის პარალელურად სრულიად უშფოთველად მიიღეს აფხაზებმა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსი. ამის გამო აღიარებელმა რუსეთმა იმდენი გავლენა მოიპოვა აფხაზეთის მიწაზე, რაც აქამდე არასოდეს ჰქონია.**

აფხაზთა ნაწილი ამ აღიარებამ ჩააფიქრა და შეაშინა კიდეც. როგორც მათი ქართველი კოლეგები და მათთან დაახლოებული პირები ამბობენ, აფხაზეთის ინტელიგენცია მიხვდა, რომ აღებული კურსით აფხაზ ერს გადაშენება უწერია, და რომ მათი გადარჩენა მხოლოდ საქართველოსთან ერთად ყოფნით არის შესაძლებელი. საუბედუროდ, ჩვენი ხელისუფლება ამისთვის მზად არ არის.

სამწუხაროდ, ჯერ საქართველოა გადასარჩენი.

ამ საკითხმა, მისდათავად, აფხაზეთიდან დევნილი ქართული ინტელიგენციაც ჩააფიქრა და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ პოლიტიკური აქტიურობაა საჭირო...

ქართულ ოპოზიციურ სპექტრს კიდევ ერთი ახალი რადიკალური პარტია **„ჩვენი აფხაზეთი“** შეემატა.

პარტიის წარდგენას დევნილებთან ერთად სტუმრებიც ესწრებოდნენ. პოლიტოლოგები: მამუკა არეშიძე და პაატა ზაქარეიშვილი, საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში ზურაბ აბაშიძე და, რა თქმა უნდა, მასმედია.

პარტიის თავმჯდომარემ, ისტორიკოსმა როლანდ ნიჟარაძემ საზოგადოებას აუწყა, რომ „ჩვენი აფხაზეთის“ შექმნის და სახელის შესახებ მათ კონსულტაციები აფხაზ კოლეგებთან გაიარეს, მათთან შეთანხმებით გადაწყდა საინიციატივო ჯგუფის შექმნაც. ამასთანავე, შეხვდნენ დევნილ მოსახლეობას და დაასახელებინეს ის ადამიანები, რომელთაც ენდობიან. ესენი არიან: გაგრელი სერგო აბაშიძე, გუდაუთელი ჯემალ ხარებავა, ეშერელი აფხაზი დიანა იაშბა, გულრიფშელები: გურამ დადვანი და გიორგი ფაცაცია, სოხუმელები: გურამ ოდიშარია, გიორგი ქოიავა და ალე გამახარია, გალელები: მურმან ყოლბაია, გელა მამფორია და ჯემალ გოგოხია.

ამ ადამიანებმა კიდევ ერთხელ ისაუბრეს აფხაზებისა და ქართველების თანამშრომლობისა და ურთიერთობების აუცილებლობაზე. **„ჩვენ მხოლოდ აფხაზეთის დაბრუნება კი არა, აფხაზეთში დაბრუნება გვინდა“,** — ასეთი იყო საერთო განწყობა.

**პაატა ზაქარეიშვილმა თქვა:** სულ მიკვირდა, ნუთუ დევნილთა ამხელა მასას, რომელსაც მუდამ იყენებდა ჩვენი ხელისუფლება არჩევნებში წარმატების მისაღწევად, არ უნდა ჰყოლოდა რეალური პოლიტიკური ძალა, რომელიც დევნილებისგან შეიქმნებოდა და პარლამენტში ღირსეულად იბრძოლებდა მათი უფლებების დასაცავად?

საგულისხმოა, რომ აფხაზების მიწვევით, ამ თვის ბოლოს, ქართული დელეგაცია სოხუმში ჩავა, ხოლო ორ თვეში დევნილთა დიდი ყრილობა გაიმართება თბილისში, სადაც „ჩვენი აფხაზეთის“ ქომაგნი ბევრი სკანდალური ინფორმაციის გახმიანებას აპირებენ.

ამ ხელისუფლებაზე უკეთ წავალთ და დაველაპარაკებით როგორც რუსეთს, ისე დასავლეთს, — განაცხადეს დევნილებმა, — ჩვენ თვითონ მივხედავთ თავსო. „ჩვენ თვითონ“ სიტყვების კონტექსტმა მათ პაატა დავითაიას პარტია მოაგონა, რაზეც ირონიულად თქვეს, ჩვენ თვითონ, ოღონდ არა ისე, როგორც ამ პარტიის ლიდერმა გააკეთა და საქართველოს კეთილდღეობა ვიცე-სპიკერობაზე გაყიდაო.

მას შემდეგ, რაც წამყვანმა ტელეარხებმა მიკროფონები აკრიფეს და დარბაზი დატოვეს, ბიზნესმენმა სერგო აბაშიძემ, სწორედ იმან, ვისაც თურე დევნილთა დიდი მასა ენდობა, არა საჯაროდ, არა სერიოზულად, თუმცა მაინც თქვა: თუკი გამოვა რამე, ხომ კარგი, თუ არადა წავალ, ჩემს მიწა-წყალს დავუბრუნდები, აფხაზები მეხვეწებიან, ჩამოდი და აქ იცხოვრეო. მილიონი ქართველი ცხოვრობს საზღვარგარეთ, მაგრამ მოღალატეებად არავის გამოუცხადებიაო.

თითქოს ხუმრობით ნათქვამ ამ სიტყვებს მამუკა არეშიძის რეპლიკა მოჰყვა: ჩვენ ყველანი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან უნდა გამოვიდეთო.

**ზურაბ აბაშიძემ მოიწონა პარტიის შექმნის იდეა და აღნიშნა:** აგვისტოს ომმა აფხაზებიც ჩააფიქრა და ახალი რეალობის გათვალისწინებით თუ ნდობის ფაქტორი აღდგება, კარგი იქნებოდაო.

**ჩვენ ექსკლუზიური ინტერვიუ ჩავწერეთ პარტიის თავმჯდომარე როლანდ ნიჟარაძესთან.**

**— ბატონო როლანდ, პარტიის შექმნის იდეა აგვისტოს ომმა განაპირობა?**

— მანამდეც ვფიქრობდი. დიდი ხანია დავდივართ დევნილებთან, ყველა რეგიონში ჩავედით. ვნახეთ, რა გაუსაძლის პირობებში არიან, რომ ყურადღებას არავინ აქცევს.

მეორეც, ჩვენ ის თაობა ვართ, რომელთაც ჯერ კიდევ უამრავი მეგობარი გვყავს აფხაზეთში, მათთან სისტემატური კავშირი გვაქვს, ჩავდივართ კიდეც. იქ აფხაზებმა ისეთი რაღაცეები გვითხრეს, რასაც ჯერ ვერ გავახმაურებთ იმიტომ, რომ არ შეიძლება. ისინი ძალიან საინტერესო წინადადებებს გვთავაზობენ. გასულ წელს მათთვის ანგარიში რომ გაგვეწია, საქმე უკეთ იქნებოდა. რადგან ჩვენი ხელისუფლება ასეთ შეთავაზებებს ყურად არ იღებს, ჩვენ ვცდილობთ, საქმის წინ წაწევას.

**— ამდენი წელიწადი ხელისუფლების იმედად დუმდით?**

— არასოდეს მაინტერესებდა პოლიტიკა, მაგრამ...

**— გვიანი ხომ არ არის?**

— არა, გვიანი არა არის!

**— სხვა თაობა იზრდება, ურთიერთობები და კავშირები აფხაზებთან თანდათან წყდება...**

— დიახ, მართალი ხართ. სწორედ ამას გვეუბნებიან აფხაზი მეგობრები. ახალმა თაობებმა არ იციან ერთმანეთთან ურთიერთობა და სიყვარული. ჩვენ, აფხაზები გავქრებით და ეს დიდი დანაკლისი იქნება კავკასიური ოჯახისთვის, ჩვენ სხვა დამცველი არა გვყავს, ქართველების გარდაო. ახლა აფხაზები არიან ხელისუფლებაში, მაგრამ არავინ იცის, ახალი არჩევნების შემდეგ ისევ იქნებიან თუ არა. დღეს აფხაზეთში სულ 250 ათასი ადამიანი ცხოვრობს. აქედან 50 ათასია აფხაზი. დანარჩენი სხვა ეროვნების ხალხია და ყველანი აფხაზების წინააღმდეგნი არიან.

**— საქართველოში საზოგადოება ახალი არჩევნების მოლოდინშია. სწორედ ამ დროს იქმნება თქვენი პარტია, ალბათ, საარჩევნოდ, არა?**

— არა. მხოლოდ ამიტომ არა.

**— კი, მაგრამ აფხაზებთან ურთიერთობისთვის შეიძლებოდა შეგექმნათ საზოგადოებრივი გაერთიანება ან არასამთავრობო ორგანიზაცია. თქვენ კი პარტიას ქმნით, რატომ?**

— ამაზე ვიმსჯელეთ. ეს იდეაც აფხაზებისგან მოდის. მათ უნდათ, საქართველოს პარლამენტში დასაყრდენი ძალა ეგულებოდეთ. ყველასთვის გასაგებია, რომ აფხაზეთის დაბრუნების საკითხს მხოლოდ სახალხო დიპლომატია ვერ შველის, ის პოლიტიკურად უნდა გადაწყდეს.

**— ხომ არ აპირებთ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობას?**

— ჩვენ ყველას დაველაპარაკებით.

**— ირაკლი ალასანია ესიმპათიურება დევნილებს.**

— ის მართლაც მოსწონთ დევნილებს, მაგრამ ჩვენ ჯერ არ ვიცით მისი პოზიცია. თანაც ის ამერიკიდან მოდის...

**— მერე რა, ამერიკა რატომ გაშინებთ, ის ხომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს უჭერს?**

— ასე გგონიათ? ეტყობა, თქვენც ამისი გჯერათ. მე რუსეთის ადვოკატი არა ვარ, მაგრამ არც ეს მინდა და არც ის. საქართველო დამოუკიდებელი უნდა იყოს. ახლა ინგლისურმა წაგვლეკა, ვილუპებით...

**— ბატონო როლანდ, სოხუმელები დღესაც თითქმის რუსულად მეტყველებთ, მაგრამ საშიშ სინდრომად არ აღიქვამთ, ინგლისური რატომაა სახიფათო?**

— რუსული თუ იყო სალაპარაკო ენა, იმან დაგვღუპა, თუმცა სოხუმი მრავალეროვანი ქალაქი იყო და რუსული საურთიერთობო ენა იყო...

**— კარგი, გეთანხმებით, მოდით, თქვენს ლეგიტიმურ მთავრობაზე გვითხარით რამე, გასაგებია, რომ საქართველოს ხელისუფლება არ მოგწონთ...**

— ლეგიტიმური ხელისუფლება — ეს არის სრულიად უსუსური და არაფრის მაქნისი მთავრობა. მალხაზ აქიშბაიას სოხუმი თვალით არ უნახავს, აფხაზეთში არ უცხოვრია და იქაური არაფერი არ იცის, არავის იცნობს.

**— ამბობენ, სააკაშვილის კურსელი იყოო.**

— აქიშბაია დევნილობის დროს გალიდან წამოვიდა. მერე კიევში, იმ სასწავლებელში ჩააბარა, რომელიც იმ წელს დაამთავრა სააკაშვილმა. ისინი ერთმანეთს არ შეხვედრიან.

თუმცა აქ რომ ჩამოვიდა, ნაცნობების წრე გამოიყენა და ასე მოხვდა მთავრობაში. სააკაშვილმა იცრუა, როცა თქვა, აქიშბაიას ვიცნობდიო.

მაგალითად, ბიზნესმენ სერგო აბაშიძეს მთელს აფხაზეთში სამეგობრო წრე ჰყავს, ამ კაცს ყველა პატივს სცემს და ენდობა.

ჩემი თანაკურსელი, რომელთანაც დღესაც ვმეგობრობ, პრეზიდენტად უნდა მოვიდეს აფხაზეთში, თუ რუსებმა თავისი კანდიდატი არ გაიყვანეს.

**— საინტერესოა, ვინ არის?**

— ვერ გეტყვით. საიდუმლოა, ვმალავთ ამ ამბავს, რომ არ გახმიანდეს. მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება.

**— ვინ დააფინანსებს თქვენს პარტიას, რომელიც სერიოზულ აქტიურობას გეგმავს?**

— სანამ ჩვენი სახსრები გაგვყვება...

**— თითქოს უკვე იკითხეს, რუსეთიდან ხომ არ ფინანსდებაო?**

— ვინც მიცნობს, ის არავითარ შემთხვევაში ამას არ იტყვის. ზვიად გამსახურდია ჩემი „კუმირია“, მას კი რუსები არ უნდოდა.

მე ის კაცი ვარ, ვინც აფხაზეთის ავტონომიის გაუქმების ფურცელი პირველმა გამოვიტანე და ავაფრიალე, თუმცა დღეს ამას ძალიან ვნანობ!

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

ინფორმაცია

# მედვედევი თურმე ჩვენს უსაფრთხოებაზე ზრუნავს



**რუსეთის პრეზიდენტის განკარგულება საქართველოსთვის იარაღის მიყიდვაზე ემბარგოს გამოცხადების შესახებ კავკასიაში ძალადობის გამეორების თავიდან აცილებას ემსახურება, — ეს შეფასება რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრ ნესტერენკომ გააკეთა.**

**მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებას, მომავალში შეაფერხებს იარაღის მიწოდებასთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული შეთანხმებების დარღვევებს.**

**ნესტერენკოს განცხადებით, ასეთი ნორმატიული აქტის გამოცემა მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო იმ ფონზე, რომ საქართველოში მიწოდებული შეიარაღების მოცულობა სერიოზულად აღემატებოდა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისა და თავდაცვისუნარიანობის საჭიროებას.**

**7-8 აგვისტოს საქართველოს მიერ სამხრეთ ოსეთზე შეიარაღებულმა თავდასხმამ დაადასტურა ჩვენი ყველაზე ცუდი მოლოდინი და იარაღი მასობრივად გამოყენებული იყო მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, — განაცხადა სამინისტროს წარმომადგენელმა და აღნიშნა, რომ ამაში მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმ ქვეყნებსაც ეკისრებათ, ვინც საქართველოს შეიარაღებით აქტიურად ამარაგებდა.**

**ამასთანავე, ნესტერენკო საქართველოს ახალი მილიტარიზაციის პროცესის საფრთხეზე საუბრობს, რაც მისივე თქმით, ნატოს პროგრამების ფარგლებში საქართველოს სამხედრო-ტექნიკურ დახმარებაში გამოიხატება.**

**მედვედევის 19 იანვრის განკარგულების თანახმად, რუსეთი კრძალავს ნებისმიერ სამხედრო-ტექნიკურ დახმარებასა და თანამშრომლობას საქართველოსთან, ასევე, შეზღუდავს სამხედრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას იმ ქვეყნებთან, რომლებიც საქართველოს რუსულ ან საბჭოურ იარაღს მიაწვდიან.**

ინტერპრესნიუსი

◉ ბიუჯეტი და ჩვენ

# როგორ ემზადება ხელისუფლება საარჩევნოდ?



## ...როცა ქვეყანას 394.646 ოფიციალური ღატაკი ჰყავს

***გასული წლის უკანასკნელ დღეებში, 29-30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, ხოლო მთავრობას სოლიდური თანხების გაღება მოუწია. დიდი დავისა და აზრის სხვადასხვაობის შემდეგ ოპოზიციური პარტიების დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდა — ქვეყნის ბიუჯეტი კიდევ ექვს პოლიტიკურ ძალას დააფინანსებს. 30 პროცენტით გაიზარდა გამგეობებისა და საკრებულოების თანამშრომელთა თვიური ანაზღაურება. გამგებლების ხელფასი 2000 ლარს გადააჭარბებს, მოადგილისა — 1000 ლარს, ხოლო რიგითი მუშაკის მინიმალური გასამრჯელო — 400 ლარი იქნება.***

ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ ეს ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა, რადგან რეგიონებში განსაკუთრებული დატვირთვით მოუწევთ მუშაობა საჯარო მოხელეებს ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად(!). აი, ექსპერტთა ნაწილი და ოპოზიციის წარმომადგენლები კი მიიჩნევენ, რომ მთავრობა არჩევნებისთვის ემზადება და ყოველივე წინასაარჩევნო ფანდებია.

სავარაუდოდ, იმავე მიზანს ემსახურება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილება, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების საარსებო შემწეობის 100 პროცენტით გაზრდის შესახებ. თუმცა საკმაოდ მიზერულ ციფრებზეა ლაპარაკი, 12 ლარი 24 ლარით შეიცვლება. ამ თანხას ემატება ყოველი ასეთი ოჯახისთვის განკუთვნილი 30 ლარი. ასეთ დახმარებას იღებენ ისინი, ვისაც მონაცემთა ბაზაში სარეიტინგო 57 ქულა აქვთ. მართალია, მთავრობამ ოფიციალურ ღატაკად 394 ათას 646 ადამიანი აღიარა, თუმცა ორჯერ მეტს ჰგონია, რომ სიღატაკის ზღვარს მიღმაა და სახელმწიფოსგან ფულად დახმარებას საჭიროებს.

ამ თვიდან გაიზარდა საპენსიო ასაკის საფუძვლით დანიშნული სახელმწიფო პენსია და 75 ლარი გახდა, ნაცვლად 70-ისა. საქართველოში პენსიას ნახევარ მილიონზე მეტი იღებს. ამ დანიშნულებით ბიუჯეტიდან უკვე გაიცა 67 მილიონ 35 ათასი ლარი.

„სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად 75 ლარით განისაზღვრა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით დანიშნული პენსია, რომელიც უკვე მიიღო 24 ათას 535-მა პირმა.

სოციალური მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 12 ნოემბრიდან დაიწყო აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულთათვის ერთჯერადი დახმარების — 200 ლარის გაცემა. ამ მიზნით იანვარში 3 მილიონ 326 ათასი ლარი16 ათას 630 დევნილს გადაერიცხა.

**გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე, სოციალური სუბსიდიებისთვის თანხის ხარჯვას ოპონენტები პოლიტიკური დივიდენდებისთვის გათვლილს უწოდებენ. მათი თქმით, ხელისუფლება არჩევნებს აუცილებლად დანიშნავს და ამისთვის უკვე წინასწარ თადარიგს იჭერს, თუმცა სააკაშვილის დანიშნულ არჩევნებსაც ისეთივე კრიტიკით და ქარცეცხლით ხვდებიან, როგორც მისგან გაღებულ ყოველ ლარს, თუნდაც სასიკეთოდ (!).**

ნია ფიფია

◉ ინფორმაცია

### ბაღაფშს „შავი ქამარიღა“ აკლია

**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში აღმოსავლური ორთაბრძოლის „ტევონ-დოს“ უმაღლესი ტიტულის მფლობელი გახდა. ეს საჩუქარი სერგეი ბაღაფშს რუსეთის ელჩმა კონგოში სერგეი კოვალიოვმა გადასცა, რომელიც აფხაზეთში სტუმრად მყოფ რუსეთის ფედერაციაში კონგოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ახლავს.**

**სერგეი კოვალიოვის თქმით, ეს ტიტულები აღმოსავლეთის საბრძოლო ტრადიციების მიხედვით მებრძოლებს ენიჭებათ. აფხაზ სეპარატისტთა ლიდერს შავი ქამარიც გადასცეს.**

ინტერპრესნიუსი

◉ საერთაშორისო ორგანიზაციები

# ლატვია შესაძლოა ნატოდან გამოაგდონ?

***ეს სულაც არაა სახუმარო, ასეთი ინფორმაცია გამოქვეყნდა ინტერნეტში და ის მკაცრი რეალობაა. ეს გამოწვეულია უმკაცრესი ფინანსური კრიზისით, რომელიც ამ ქვეყანას თავს დაატყდა. ერთ-ერთი გამოვლინებაა ნაციონალური ვალუტის ლატას ჰიპერინფლაცია და დიდი უმუშევრობა. ისედაც, ლატვია ევროკავშირის მეორეხარისხოვანი ქვეყანა არის „შეზღუდული უფლებებითა და შესაძლებლობებით“. მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ დასავლეთის კეთილი ნების იმედით მთლიანად დაივიწყეს ეკონომიკის განვითარების აუცილებლობა, რამაც რთულ მომენტში თავი იჩინა — ქვეყანას ემუქრება დეფოლტი, ხოლო ბიუჯეტი კატასტროფულად მცირდება.***

სწორედ ამ კრიზისის შედეგია, რომ ლატვიის თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო მდივანმა იანის სარტსმა განაცხადა, რომ 2009 წლის ფინანსური სეკვესტრის გამო ქვეყანა შეიძლება იძულებული გახდეს უარი თქვას ავღანეთში და კოსოვოში ნატოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მიღებაზე და, ამასთანავე, კონტრაქტები გააუქმოს დასავლეთიდან იარაღის შეძენაზე.

**აღმოჩნდა, რომ მომავალ წელს ლატვია ვალდებულია შეასრულოს 156 მილიონი დოლარის „საგარეო და შიდა“ თავდაცვითი ხელშეკრულებები, რომლებიც იარაღის, რადიოლოკაციური სადგურების, გემებისა და საზღვაო დაკვირვებათა სისტემების შეძენას ითვალისწინებს.** სარტსის აზრით, თუ არ გადავიხდით ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ თანხებს (ეს კონტრაქტები დადებულია ამერიკული და ევროკავშირის იარაღის მწარმოებელ მსხვილ კომპანიებთანძ, ან შევწყვეტთ კონტრაქტებს, მოგვიწევს ჯარიმების გადახდა, რაც ქვეყანაში არსებულ კრიზისს კიდევ უფრო გაამწვავებს.

**რიგას ავტორიტეტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დარტყმა იქნება მისი უუნარობა შეინახოს ჯარისკაცთა თუნდაც მცირე ჯგუფი ავღანეთში და კოსოვოში, რომელიც საერთაშორისო ვალდებულებებითაა გათვალისწინებული.**

რა შედეგები მოჰყვება ამ პატარა ბალტიისპირეთის რესპუბლიკას ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო? სარტსი თვლის, რომ **„ჩვენ არ გამოგვაგდებენ არც ნატოდან და არც ევროკავშირიდან, მაგრამ ჩვენი საქმეების წინ წაწევა ამ ორგანიზაციებში გაცილებით რთული გახდება, ხოლო ავტორიტეტის აღდგენას ძალზე დიდი დრო დასჭირდება“**

თუმცა, ოფიციალურმა რიგამ რაც არ უნდა იფიქროს, არც ნატოსა და არც ევროკავშირს არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული წევრობის ჩამორთმევის რეჟიმი და ამიტომ ეს პროცესი ადვილიცაა, მაგრამ ნატოს ხელმძღვანელობა ალბათ მაინც გამონახავს გზებს, რათა შეინარჩუნოს ეს პატარა რესპუბლიკა თავის რიგებში, ცხადია, გარკვეული საფასურის ხარჯზე, თუნდაც მის ტერიტორიაზე დამატებითი სამხედრო ძალების შეყვანით.

„მეორეს მხრივ შესაძლოა, რომ **კეთილი ამერიკა დააფინანსებს ლატვიის სამხედრო კონტიგენტის ყოფნას მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილებში და ლატვიელ ახალგაზრდებს „საზარბაზნე ხორცად“ გამოიყენებს. როგორც არ უნდა ვიფიქროთ, ლატვია ნატოს „კაბალაში“ ხვდება, რომლისგანაც თავის დაღწევა ძალიან ძნელი იქნება“** — თვლის ლატვიელი მიმომხილველი.

ანალიტიკოსი დუგ სონდერსი გაზეთში The Globe and Mail ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ წერდა, რომ **მოსკოვი უკვე გამწარებული რეაგირებს ნატოს გაფართოებაზე შავი ზღვის აუზში, რომლის ქვეყნები ადრე მთლიანად მისი გავლენის ქვეშ იყო. „რამდენიმე „გაყინული კონფლიქტი“ საქართველოში, უკრაინაში, აზერბაიჯანში და მოლდავეთში მზად არის გადაიზარდოს სრულმასშტაბიან ომებად გამოყოფისთვის. ნებისმიერ შემთხვევაში, სეპარატისტული მოძრაობები, როგორც ჩანს, მოსკოვის მხარდაჭერით ხდება“** — ჯერ კიდევ შარშან განაცხადა სონდერსმა.

როგორც ვხედავთ, ომი ზემო ქართლში სწორედ ამიტომ მოხდა და რუსეთის მხარდაჭერა ოსებისა და აფხაზების სეპარატისტულ მოძრაობაზე აღარ უნდა გვიკვირდეს.

**„ბრიუსელი, ვაშინგტონი და მოსკოვი რატომ ხარჯავს ამდენ დროს, ფულს და იარაღს იმ საპირო ზონისთვის, რომელიც ადრე არავის აინტერესებდა?** — კითხულობს ანალიტიკოსი და თვითონვე უპასუხებს — **ნაწილობრივ ეს გეოგრაფიით არის გამოწვეული. საქართველო, თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი ირანის საზღვრის მახლობლად არიან და სახეზეა ძალზე ძლიერი სურვილი მიიღონ დასავლეთისადმი ლოიალური ბუფერული ზონა და სამხედრო ინსტალაციები კონფლიქტების ამ მუდმივი წყაროს გარშემო“.**

ამდენად, დასავლეთის ჩვენთან მეგობრობის მიზეზიც ეს გახლავთ, მაგრამ რას მოგვიტანს ეს მეგობრობა, აგვისტოშიც კარგად გამოჩნდა.

რას წარმოადგენს თვით „ნატო“?

**ნატოს ოფიციალურ საიტზე მოცემული ინფორმაციის თანახმად, ეს არის ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია — ნატო (ინგლ. North Atlantic Treaty Organisation, NATO). სამხედრო კავშირი შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში, რომლის დამფუძნებლად ითვლებიან აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, კანადა, იტალია, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ისლანდია. ალიანსის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა სსრ კავშირიდან მომავალი სამხედრო საფრთხის მოგერიება ერთიანი ძალებით. მოგვიანებით, ალიანსში 1952 წელს მიიღეს საბერძნეთი და თურქეთი.**

**1955 წელს მათ შეუერთდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 1982 წელს ალიანსში მიიღეს ესპანეთი. 1991 წელს სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ნატო პრაქტიკულად უფუნქციო სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებად იქცა, თუმცა ეს ორგანიზაცია დაშლის ნაცვლად 1999 წელს ახალ წევრებს იერთებს ჩეხეთის, პოლონეთისა და უნგრეთის სახით. 1999 წელს აშშ-ის მეთაურობით ალიანსმა საჰაერო იერიში მიიტანა იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადზე.**

**2004 წელს სამხედრო ალიანსში ახალ წევრებს იღებენ, რომელთა შორის არიან: ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, რუმინეთი, სლოვაკეთი, სლოვენია და ბულგარეთი. მიუხედავად რუსეთის დიდი წინააღმდეგობისა, ნატო კვლავ აპირებს თავისი რიგების გაფართოებას. ორგანიზაციის შტაბ-ბინა მდებარეობს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ალიანსის წევრებად მიიწვიეს ალბანეთი და ხორვატია.**

ეს ნატოს სრულიად ოფიციალური სავიზიტო ბარათია. მისი მიზნებიც არც თუ დიდად საიდუმლოა. სხვა საქმეა, თუ რა როლი უნდა შეასრულოს საქართველომ ნატოში ან ევროკავშირში? ლატვიასთან შედარებით, ჩვენ მეორეხარისხოვანი კი არა, მეოთხეხარისხოვანი ქვეყანა გავხდით და თუ ლატვიელებს „საზარბაზნე ხორცად“ იყენებენ, საქართველოს შვილებს რა ელით?

ახლა „ეუთოს“ დამკვირვებლები მოსკოვის მოთხოვნით საქართველოს რომ სტოვებს, დასავლეთის სხვა ორგანიზაციები რას აკვირდებიან? „გაეროს“ ოფისში რა აზრზე არიან და რას ფიქრობენ?

მთავარი კი ისაა, თუ ჩვენ რას ვფიქრობთ და რისი გაკეთების შნო გვაქვს.

ხელისუფლებამ გვაჩვენა, რომ შნო არა აქვს. ხალხს?

მერაბ ჯიბლაძე,
„ქართული აკადემია“.

*P. S. რადგან ქართულში დამკვიდრდა საერთაშორისო ორგანიზაციების ქართული დასახელებები: „გაერო“, „ეუთო“ და სხვა, რატომ შემოგვრჩა ინგლისურიდან სიტყვა „ნატო“. რადგან ეს ორგანიზაცია ქართულად გამოითქმის: „ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია“, სავსებით ლოგიკურია, რომ მას, აბრევიატურის თანახმად, ქართულად „ჩახო“ ვუწოდოთ. „ნატო“ კი ლამაზი ქართული სახელია და ჩვენი ეკრანის მშვენებასთანაა დაკავშირებული.*



პარტიებსა და მოძრაობებში

# ქუთაისო, ნინოსათვის იანვარშიც სამაისო!

**მართლაც ისეთი ჩახჩახა მზით დაგვხვდა ბებერი ქუთაისი, კალენდრის ნიშნული რომ არა, გაგიჭირდებოდა იმის დაჯერება, რომ მაისი კი არა, შუა ზამთარი იყო.**

ამინდის შესაფერისი თბილი დახვედრა მოუწყვეს „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ლიდერს ნინო ბურჯანაძეს მშობლიურ ქუთაისში. იმერეთის რეგიონული კონფერენცია, მესხიშვილის დრამატული თეატრის ულამაზეს, ხალხით გადაჭედილ შენობაში შედგა.



ზუგდიდისგან განსხვავებით, რომელიც, როგორც ავი ენები ამბობენ, მამა-შვილი ახალაიების სამფლობელოა, ალბათ ამის გამო ვერ მოხერხდა იქ ქალაქის ცენტრში ნორმალური შენობის შერჩევა, ქუთაისმა კი საუკეთესო შენობა დაუთმო ქალბატონ ნინოს.

რაც შეეხება თავად შეხვედრას: პარტიის ლიდერის გამოსვლამდე, რიგითი წევრების თუ მხარდამჭერების რუტინული, „პროტოკოლით“ გათვალისწინებული გამოსვლები შედგა. ბოლოს, პარტიის მთავარი საბჭოს წევრებისა და იმერეთის რეგიონული ოფისის, ქალაქის ორგანიზაციის ხელმძღვანელთა „ფონზე“, ქალბატონმა ბურჯანაძემ საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა.

მთავარი პათოსი, როგორც მოსალოდნელი იყო, მიხეილ სააკაშვილის უპირობო და სასწრაფო გადადგომის აუცილებლობის მოთხოვნა იყო, რის შემდეგაც უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო (და არავითარ შემთხვევაში საპარლამენტოძ არჩევნები, რადგან ბურჯანაძის აზრით, ამ პრეზიდენტის პირობებში, არანაირ სხვა არჩევნებს, არავითარი შედეგი არ მოჰყვება.

ამ მიზნის მისაღწევად ქალბატონმა ნინომ ყველა ოპოზიციურ პარტიას გაერთიანებისკენ თუ არა, მინიმუმ კოორდინირებული ქმედებებისკენ მოუწოდა. „ახლა ოპოზიციური პარტიებისთვის ერთმანეთის კრიტიკის, ერთმანეთისთვის კითხვების დასმის დრო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მე არ მეშინია კითხვებზე პასუხების გაცემა“, – განაცხადა ქალბატონმა ნინომ და იქვე დასძინა, „ჩემთვის კითხვების დასმის უფლება მხოლოდ თქვენ (აუდიტორიას და ზოგადად ხალხს – **ავტ.**ძ გაქვთ და არა ოპოზიციასო“. ძნელია არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან ჯერ კიდევ საკითხავია **რა უფრო დიდი შეცდომა იყო? ის, რომ ქალბატონი ბურჯანაძე 7 ნოემბრის შემდეგ დემონსტრაციულად არ გადადგა თანამდებობიდან, თუ ის, რომ ოპოზიციამ არაერთგზის 300 ათასი ადამიანი გააწბილა, როცა სახლებში გააბრუნა და არა რუსთაველისკენ დაძრა?**

**ერთი სიტყვით, რა და როგორ იქნება, ამას დრო გვიჩვენებს.ერთი რამის თქმა დღესვე შეიძლება – რაც დრო გადის, მიუხედავად ამ მიმართებით ბევრის სკეპტიციზმისა, ბურჯანაძის პარტია ახალ-ახალ მომხრეებს იძენს, დღითი დღე ძლიერდება. ისიც აშკარა ხდება, რომ ხელისუფლება მთავარ საფრთხეს სწორედ ბურჯანაძეში ხედავს და არა სხვა, ზოგადად, ოპოზიციურ ძალებში.**

**მართლაც, თუ ასეთი ტემპებით გააგრძელა ამ პარტიამ მომხრეების შეძენა, იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-დან მხარდაჭერაც აქვს, ხელისუფლების შეშფოთება გასაგებია.**

**ირაკლი ალასანიაც სადღაც „დაიკარგა“ და რომც გამოჩნდეს, ნამდვილად გაუჭირდება ქართულ პოლიტიკაში დამკვიდრება, რაც სულ ადვილად შეეძლო „გუშინ“, როცა მის გამოჩენას ლამის ნახევარი საქართველო იმედით ელოდა. იმედით, რომელიც ირაკლი ალასანიამ არაფრისმთქმელი პრესკონფერენციით გააქარწყლა.**

**დავით მხეიძე**

ვაი ასეთ ყოფას!

***ტყუილიც** არის და ტყუილიც. ჯერ არ უნდა თქვა, მაგრამ თუ იტყვი, ისეთი უნდა იყოს, როგორც პოეტი იტყოდა, „ცამ ქუხილი დაიწყოს“. რა თქმა უნდა, იმასაც აქვს მნიშვნელობა (შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობაც), ვინ ამბობს ამ ტყუილს. სწორედ ტყუილის ავტორის რეიტინგზეა დამოკიდებული თავად ტყუილის რეიტინგი, მისი სანდოობა და დამაჯერებლობა. ახლა ისეთი დროა, მინისტრი რომ მინისტრია, გინდაც ის ვანო მერაბიშვილი იყოს, ტყუილს კი არა მართალსაც არავინ დაუჯერებს, თუ ის პრეზიდენტისგან არ არის ხელდასხმული და ბეჭედდასმული.*

იცის ბატონმა პრეზიდენტმა, მშვენივრად იცის საკუთარი ხალხის უნდობლობის ამბავი და ტყუილების, თანაც მამალ-მამალი ტყუილების, ავტორობის მისიას არავის უთმობს. მერე იმაზეც ზრუნავს, რომ მის მიერ შეთხზული ტყუილი კონკურენტუნარიანი იყოს და საკუთარ თუ საერთაშორისო ბაზარზე უცხოურმა ტყუილმა არ დაჯაბნოს. საამისოდ საკმაო წარმატებით იყენებს ტელევიზიას, სადაც საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან შემომავალ ტყუილებს არ აჭაჭანებს. სწორადაც იქცევა, რა საჭიროა იმპორტული ტყუილი, როცა სამამულო წარმოებისაც თავსაყრელად გვაქვს. ესეც კარტოფილი ან ტომატი ხომ არ არის, თურქეთიდან შემოიტანო, მით უფრო, როცა იცი, რომ შენი ტყუილი სხვისაზე გაცილებით გემრიელი, მაღალკალორიული და მაწიერია.

ამ მხრივ ყველაზე ნოყიერი და ხანგამძლე აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკური ყვავილობის პერიოდი (ყოველწლიურად ეკონომიკის 10-12-პროცენტიანი ზრდაძ, რომლითაც ხელისუფლება სამართლიანად ამაყობს. ამ წარმატებამ ისეთი კვალი გაავლო საქართველოს ცხოვრებას, რომ ხელისუფლებისაგან აწ განდგომილ პრემიერ ზურაბ ნოღაიდელს, მაშინდელი ნაღვაწი რომ ახსენდება, ახლაც კი გული სიამაყით ევსება. ერთადერთი ნაკლი იმ წლების ალმშენებლობისა, რაც შემდეგ თავად მიხეილ სააკაშვილმაც აღიარა, ის იყო, რომ ქვეყნის ეკონომიკა იზრდებოდა, უმუშევრობა და სიღარიბე კი რატომღაც მატულობდა(!?ძ.

თუმცა ეს უხერხულობა ახალმა ტყუილმა გაფანტა – სასწრაფოდ შემუშავდა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის ჯერ 50-დღიანი, შემდეგ კი 50-თვიანი პროგრამა, რომელსაც „ბედად“ რუსეთ-საქართველოს ომმა მოუსწრო და ჩაშალა. ამ ომმა, სხვათა შორის, სხვა ბევრი ტყუილიც ჩამოწერა.

აღარაფერს ვამბობ ომში საქართველოს არნახულ გამარჯვებაზე, რომელიც იმდენად მარ-



# ტყუილს ჯოტყვი, ცამ ქუხილი დაიწყოს...

## ქართული ტყუილი მთელ მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი, თანაც გემრიელი და მაღალკალორიულია

თალი ტყუილი გამოდგა, რომ ტყუილად აღარც კი ჩაითვლება. ამაში დიდია დამსახურება თავად რუსეთის სარდლობისა, რომელიც მარცხმა იმდენად შეაშინა, რომ აფხაზეთისა და ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის საზღვრები საგულდაგულოდ დაგმანა, სასწრაფოდ დაიწყო ჯარის რეფორმირება და თანამედროვე ტექნიკით შეიარაღება. არც გაემტყუნება, თუ ფრთხილად არ იყო, სულაც არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ვირტუალურად მოაზროვნე ქარიზმა პრეზიდენტმა მოკლე ხანში რუსეთს მეორე დამარცხება აგემოს (!ძ.

ამის შიშით რუსეთმა ხარკიც იკისრა – საქართველოს ხელისუფლებას ენგურჰესის ერთობლივად მართვაზე დათანხმდა. აბა წარმოიდგინეთ, რუსეთი „მანდრაჟში“ რომ არ ყოფილიყო, „თელასის, „თბილსრესისა“ და სხვა უამრავი ენერგოობიექტის შემდეგ დამატებით კისერზე კიდევ ენგურჰესს წამოიკიდებდა? ახლა იძულებულია, ამ დღემდე უმართავი ჰესის მართვაშიც მოგვეხმაროს და აფხაზეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურიც (წლიურად 15 მილიონი ლარიძ თავადვე გადაიხადოს.

ყოველივე ამის შემდეგ ჩვენ მთავრობას ჰყოფნის გამბედაობა მოიტყუოს – რუსეთმა ენგურჰესის მართვაში პარტნიორობა თავად შემოგვთავაზაო. არ დაიჯეროთ, ბატონებო! იმის შიშით, რომ საომარ ანკესზე მეორეჯერ არ წამოგებულიყო, რუსეთმა სახარკო მარყუჟში იძულებით გაყო თავი. სიმართლე თუ გნებავთ, ეს არის და არა ის, რასაც ჩვენი ენერგეტიკის მინისტრი ხეთაგური „გვიმტკიცებს“.

ამ უთავბოლო ტყუილ-მართალმა ხალხი ისე არია, რომ ბევრს რუსეთი როცა უნდა „რაოეესი“ ჰგონია, როცა არა – პუტინი. თავად პუტინს საკუთარი თავი „იტერაში“ ეშლება და უსირცხვილოდ აცხადებს, იმის მიუხედავად, რომ საქართველოსთან ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს, ჩვენს უმადურ მეზობელს გაზს მაინც შეუფერხებლად ვაწვდითო. ჰოდა ასეთ გაუგებრობაში მოდი და გაიგე, პუტინია რუსეთი, თუ რუსეთი – მედვედევი?

ასეთ პირობებში ცხოვრება ძალიან გართულდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხალხს უკვე რუსეთის კი არა, საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტის ტყუილის დაჯერებაც გაუჭირდა. სულ უბრალო მაგალითს გეტყვით, იყო დრო, როცა ქვეყანაში საშემოსავლო გადასახადი 12 პროცენტით შემოიფარგლებოდა, მთავრობას ეს ეცოტავა და გადასახადი 25 პროცენტამდე გაზარდა, ახლა კი ედიდა და 5 პროცენტით შეამცირა, თანაც მამალივით გაიფხორა, ნახეთ რა მაგარი ვარ, ხალხი გაჭირვებიდან ამოვიყვანეო. მოდი და გაიგე ორნიშნა ციფრების ამ უბრალო მიმატება-გამოკლების წყალობით ვინ დარჩა მოგებული – ხელისუფლება თუ ხალხი! არც ერთი და არც მეორე, უბრალოდ მთავრობამ მორიგი ფარსი გაითამაშა.

სულ ახლახან პრეზიდენტმა კიდევ ერთი ტყუილი დაახეთქა: მშენებლობა იმიტომ შეფერხდა, რომ სამშენებლო მასალები იყო ძვირიო, ახლა მასალები გაიაფდა და მშენებლები ჩვეული ტემპით გაუტევენო. მშენებლობა იმიტომ კი არ შეჩერდა, პატივცემულო პრეზიდენტო, რომ სამშენებლო მასალები მოაკლდა, არამედ იმიტომ, რომ ფინანსური კრიზისის გამო მომხმარებელი შეუმცირდა. ასე იოლად რომ იყოს საქმე, ყურძენი იმდენად იაფი ღირს, მეღვინეები მას შეუზღუდავად შეისყიდდნენ გლეხებისგან, ღვინოსაც ბლომად დაამზადებდნენ და ერთბაშად ამოვიდოდნენ გაჭირვებიდან, მაგრამ ბაზარს რა უყონ, რომელიც დაკარგეს (რუსეთის სახითძ და ვეღარ უპოვიათ? ასე ჰაერში რომ წყდებოდეს ყურძნისა და ღვინის რეალიზაციის პრობლემა, მაშინ ხელისუფლებას რა რჯიდა, გლეხობას ვაზის გასაკაფად „პრემიით“ (ჰექტარზე 2 ათასი ლარიძ რომ ახალისებდა (!?ძ.

დაბოლოს, ტყუილებზე ამდენი ტყუილად ხომ არ ვილაპარაკე. მინდა ხელისუფლებას, პირადად პრეზიდენტს, კრიზისის დასაძლევად ამდენ გაწამაწიაში რომ არიან, თუკი დამიჯერებენ, პატარა რჩევა მივცე. რა რჩევა? ისა, რომ ქვეყანაში ამდენი გასაღებული თუ გაუსაღებელი ტყუილი რომ დაუგროვდათ, მოიფიქრონ და ნაწილი მაინც სარეალიზაციოდ საზღვარგარეთის ქვეყნებში გაიტანონ. სირცხვილია, სულ რომ სხვისგან არ შემოგვქონდეს პროდუქცია, ამდენ ამერიკულ და ევროპულ ინტეგრაციაში რომ ვართ ჩართული, უცხოელებმა ერთხელ ჩვენებურ ტყუილსაც ხომ უნდა გაუსინჯონ გემო? არა მგონია დაიწუნონ, თუ ექსპორტის წინ მას ევროატლანტიკური ინგრედიენტებითაც შევაზავებთ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მიხეილ სააკაშვილს საერთაშორისო ბაზარზე ტყუილების გასაღების საკმაო გამოცდილება დაუგროვდა, ჩვენს წარმატებას წინ არაფერი დაუდგება. დარწმუნებული ვარ, მაღალკონკურენტუნარიანი, გემრიელი და მსუყე ქართული ტყუილის ექსპორტი იმდენ შემოსავალს მოგვიტანს, რომ ქვეყანა ექსპორტ-იმპორტის სამარცხვინო სალდოსაც მოიხსნის და გლობალური კრიზისით გამოწვეულ სიძნელეებსაც ვაჟკაცურად გაუმკლავდება.

**ოთარ ხუციშვილი**

**ენერგეტიკა: არის წინადადება!**

# ტობარიჰესის აშენებას ამერიკის არმიის ინჟინერთა კორპუსი შეძლებს

***1990-1992 წლებში საქართველოში დატრიალებულმა კატაკლიზმებმა გაანადგურა ქვეყნის ეკონომიკა. დაიკარგა მილიარდებით დოლარის ღირებულების ქონება, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილის აღდგენაა შესაძლებელი. განსაკუთრებით გაჩანაგდა სამშენებლო სექტორი, რომელიც ენერგეტიკას ემსახურებოდა. ქვეყნის ენერგეტიკის განვითარების საქმეში 2003 წლამდე ძირითადი ყურადღება ეთმობოდა საბაზისო ენერგიის მწარმოებელი სადგურების რეაბილიტაციას. დღეისათვის კი ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა. 2005-2007 წლებში ბიუჯეტიდან გამოიყო სათანადო ხარჯები, რაც მოხმარდა ელექტროსადგურების აუცილებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს.***

ბევრ ელექტროსადგურზე მნიშვნელოვანი სამუშაო შესრულდა (მაგ. ხრამი – 1 და 2, ენგურის, გუმათის, ლაჯანურის, ვარციხჰესებზე, თბილსრესზე №3 და 4 ენერგობლოკებზე). აღდგენილია 1000 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრე, მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები სიონის წყალსაცავზე.

მაგრამ აქვე უნდა ვთქვა, რომ მართებულად არ მიმაჩნია ამჟამად ენერგეტიკის სფეროს განვითარების საქმეში საეჭვო რეპუტაციის მქონე უცხოური კომერციული ფირმების (ჩეხური, ჩინური, თურქული, პოლონური და სხვა) მოზიდვა ამა თუ იმ ჰიდროკვანძის პროექტირებისა თუ რეაბილიტაციის მიზნით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ ქართველმა სპეციალისტებმა დააპროექტეს წარმატებით საბჭოურ პერიოდში პირველი თაღოვანი კაშხალი (ლაჯანური) და მსოფლიოში რეკორდული სიმაღლის 271,5 მ-ის თაღოვანი კაშხალი (ენგური) და ააშენეს კიდეც ისინი.

ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს ენერგეტიკა განახლებადი ენერგიის მაქსიმალური გამოყენებით, სახელდობრ ჰიდროელექტროსადგურებისა და ჰიდროაკუმულირებელი სადგურების სექტორის ხარჯზე უნდა ვითარდებოდეს სათანადო პროექტების მომზადებითა და მათი დროული რეალიზაციით.

ქვეყნის დღევანდელი სამშენებლო პოტენციალი არ არის მზად მასშტაბური მშენებლობის მაღალი ხარისხით და მცირე დროში განხორციელებისათვის. **მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ მშენებლობაში ჩასართავად მოწვეულ იქნეს ამერიკის სამხედრო უწყებასთან — პენტაგონთან არსებული არმიის ინჟინერთა კორპუსი, რომლის სამუშაოთა ფართო სპექტრი მოიცავს ჰიდროენერგეტიკულ მშენებლობასაც, რაც რეალისტურად მოიაზრება მათ მიერ საქართველოსთვის უანგარო დახმარების მიმართებით.**



ამერიკის სამხედრო უწყების ინჟინერთა კორპუსს დაპროექტებული და აშენებული აქვს დიდი სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები: ჩიფ-ჯოზეფი, მაკნერი, დევისი, ჰაიტე-ბოკი, კუგარი, ტერმინიუსი, ნიუ-ჰოგენი, დალესი და სხვ. ამ უწყების განკარგულებაშია როგორც სამშენებლო სტრუქტურები, ასევე საპროექტო-საძიებო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, მასშტაბიანი ჰიდრავლიკური ლაბორატორიები, დიდი საწარმო ბაზა, თანამედროვე სამშენებლო ტექნიკა და დიდი ტვირთამწეობის სატრანსპორტო საშუალებები.

ამჟამად ჩვენი ენერგეტიკის სამინისტროს აქცენტი მიმართულია ხუდონჰესის რეაბილიტაციაზე, რაც პრობლემურად მიგვაჩნია. თავის დროზე ხუდონჰესი კონსერვაციაზე არ იქნა გადაყვანილი, რის გამოც ხელოვნურად დამძიმებულ პირობებში აღმოჩნდა. ახლა მისი 2,4 მლნ. მ$^3$ ბეტონის თაღოვანი კაშხალის აღდგენა მოითხოვს დეფიციტური მასალების (ცემენტიფოლადი) ხარჯვას და დაფინანსების გაზრდას, რაც გააძვირებს მშენებლობას, ამასთანავე, მასზე გაცილებით მძლავრი ჰიდროკვანძის — ტობარიჰესის კაშხლის მშენებლობა განზრახულია ადგილობრივი იაფი სამშენებლო მასალით. ამ ორ ვარიანტში მოსაფიქრებელია, რომელ მათგანს მიეცეს უპირატესობა. თუმცა ჩვენი პროფესიული სიმპათიები ტობარიჰესისკენ იხრება, რადგან მისი აშენება უფრო სწრაფად და იაფად შეიძლება. ეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართველი სპეციალისტების მეცნიერული კვლევით დადასტურდა.

მშენელობის პროცესში სამშენებლო ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებათა საიმედო ფუნქციონირება და უწყვეტი პროფილაქტიკური ღონისძიებები მოითხოვს ობიექტის სათადარიგო ნაწილებით დროულად უზრუნველყოფას. შორეული ამერიკიდან ამ ოპერაციის განხორციელება მეტად პრობლემურია. ამ საქმის ოპტიმალურად გადაწყვეტისათვის უმჯობესია ადგილობრივი რესურსის მაქსიმალურად გამოყენება. სახელდობრ, მიზანშეწონილია ქუთაისის გაჩერებული ავტოქარხნის პოტენციალურ შესაძლებლობათა (ძირითადად მაღალი კლასის სპეციალისტებისა და დიდი საწარმოო ფართის სახით) გამოყენება.

ქარხნის რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის შედეგად მშენებლობას ექნება ბაზა, სადაც სწრაფად შესრულდება დაზიანებული მანქანა-დანადგარების სარემონტო-აღდგენითი ოპერაციები. შესაბამისი ხარჯები გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჰიდროსადგურების მშენებლობის ხარჯთაღრიცხვებში. მშენებლობის დამთავრების შემდეგ ქვეყანას ექნება ერთობლივი კონკურენტუნარიანი ავტოსაწარმო.

ამის გამოცდილება ამერიკის ხსენებულ სტრუქტურას აქვს. მაგალითად, ბრაზილიაში იტაიპუს 715 მგვტ სიმძლავრის ჰესის მშენებლობის საჭირო 28 ჰიდროაგრეგატის დასამზადებლად ადგილზე შეიქმნა სპეციალური ქარხანა, რითაც მაღალ ეკონომიკურ ეფექტს მიაღწიეს.

არსებობს სხვა მაგალითიც, აშშ-ს ჰიდროელექტროსადგურის ასაშენებლად ტაჯიკეთში მდ. ფიანჯიზე გამოყოფილი აქვს 3 მლრდ. დოლარი, ხოლო 1 მლრდ. დოლარი დამატებით უნდა დაიხარჯოს მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზისათვის, ანუ ტაჯიკეთმა ამერიკიდან ერთ წელიწადში 4 მლრდ. დოლარის ინვესტიციები მოიპოვა.

არმიის ინჟინერთა კორპუსი მშენებლობის პარალელურად ახორციელებს ნაგებობათა უსაფრთხოებისათვის აუცილებელ კონტროლს (შესრულებულ სამუშაოებზე), რაც ჩვენში დღეს არ არის სათანადო დონეზე. ამჟამად მსოფლიოში მიმდინარეობს ნაგებობათა დიაგნოსტიკური აღჭურვა ახალი თაობის საკონტროლო-გამზომი აპარატურის მეშვეობით.

იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის არმიის ინჟინერთა კორპუსი გამოიგზავნება საქართველოში, მისი სამშენებლო პოტენციალი შეიძლება მიმართული იქნეს შავი ზღვის და მდინარეების სანაპიროს რადიკალური და ეფექტიანი დაცვის საკითხებისადმიც, რათა შეიქმნას სანაპიროს დაცვის საიმედო საფუძველი.

როგორც ვხედავთ, ტობარის და ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების გამსხვილება და ერთ სამშენებლო კორპუსში მოთავსება, პირდაპირ უხსნის გზას საქართველოს სამეურნეო და საერთო ეკონომიკური საკითხების პოზიტიურ გადაწყვეტას.

**ანატოლი გეწაძე,**
**საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.**

**დავა**

# კონკურსანტმა სასამართლოს მიმართა



## სახალხო დამცველმა უნივერსიტეტის რექტორს კონკურსის შედეგების გადახედვა ურჩია

**სახალხო დამცველის ოფისში პროფესორმა თამარ კიკნაძემ პრესკონფერენცია გამართა. იგი აპროტესტებს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამართულ კონკურსს. საქმე ის არის, რომ უნივერსიტეტში 2008 წლის 11 ივნისს, რექტორის ბრძანებით, გამოცხადდა კონკურსი სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.**

თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის დადგენილების თანახმად, უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დაკავებისთვის კონკურსი ერთ ტურად უნდა გამართულიყო. კონურსანტები წარადგენენ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, რომელსაც კომისია გარკვეულ ქულებს ანიჭებს, აშკარა უპირატესობის მქონე კონკურსანტები იკავებენ ვაკანტურ თანამდებობებს. თუ კონკურსის შედეგების მიხედვით, ორ ან რამდენიმე კონკურსანტს თანაბარი ქულები აღმოაჩნდება, დადგენილების მე-10 პუნქტი საკონკურსო კომისიას აძლევს უფლებას, ასეთი კონკურსანტები გასაუბრებაზე მიიწვიოს.

სახალხო დამცველმა შეისწავლა ერთ-ერთი კონკურსანტის – თამარ კიკნაძის საკითხი, რომელმაც განაცხადი შეიტანა სოციალურ და პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის განხრით, ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. საკონკურსოდ, ამ განხრით 4 საშტატო ერთეული იყო გამოტანილი. ამ ვაკანსიაზე საკონკურსო მონაცემებით სულ 10 კონკურსანტი მონაწილეობდა.

დოკუმენტაცია ფასდებოდა აკადემიური ხარისხის, პედაგოგიური გამოცდილების, სამეცნიერო პუბლიკაციებისა და საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის მიხედვით. კონკურსის პირველივე ტურში გამოიკვეთა მაღალი შეფასების მქონე ოთხი კონკურსანტი – 315, 260, 205 და 180 ქულით. თამარ კიკნაძემ 205 ქულა დააგროვა და, შესაბამისად, მესამე ადგილზე გავიდა.

ქულათა სხვაობის მიუხედავად, საკონკურსო კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს, კონკურსის წესების გათვალისწინებით, გასაუბრების ფორმაც გამოეყენებინათ, თითქოსდა, მიღებული დასკვნების მეტად დასაბუთების მიზნით. კომისიამ გასაუბრებაზე მესამე-მეშვიდე ადგილზე გასული მხოლოდ 5 კონკურსანტი მიიწვია (პირველ-მეორე ადგილზე გასული კონკურსანტები კი რატომღაც გამოტოვა), მათ შორის, ცხადია, 205-ქულიანი თამარ კიკნაძეც აღმოჩნდა. გასაუბრების შედეგად იგი უსამსახუროდ დარჩა?!.

სახალხო დამცველი ფიქრობს, რომ „საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება უკანონო და არამართლზომიერია. საქმეში არსებული დოკუმენტების მიხედვით, გასაუბრების არანაირი საჭიროება და აუცილებლობა არ ყოფილა... საკონკურსო კომისიამ არ დაასაბუთა, რა საფუძვლით გაიყვანა გასაუბრებაზე მესამე ადგილზე მყოფი თამარ კიკნაძე სხვა ოთხ კონკურსანტთან ერთად და რა უპირატესობის გამო არ გაიარეს გასაუბრება პირველ-მეორე ადგილზე გასულმა კონკურსანტებმა“..

თამარ კიკნაძე ეჭვობს, რომ ნამდვილად მესამე ადგილზე გავიდა. კომისიის ეს გადაწყვეტილება მან გააპროტესტა, მაგრამ უშედეგოდ – ბუნებრივია კონკურსანტების საბუთების ნახვის საშუალება არ მისცეს და მხოლოდ მისი და კონკურსანტების მიღებული ქულების შესახებ აცნობეს.

თამარ კიკნაძის თქმით, შედეგების გამოქვეყნებამდე იგი უნივერსიტეტის რექტორთან შესულა და კონკურსისთვის ყურადღების მიქცევა უთხოვია. რექტორს უთქვამს, ეს საქმე კომისიის პრეროგატივააო, თუმცა კონკურსანტი არ გამორიცხავს, რექტორთან შეთანხმებით მიეღოთ ზემოხსენებული გადაწყვეტილება. „გასაუბრება მექანიზმია მათთვის არასასურველი კანდიდატის მოსაშორებლად“, – გვითხრა კონკურსანტმა.

ჩვენ დავუკავშირდით საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ირაკლი კალანდიას. მან განგვიმარტა, რომ გასაუბრება აუცილებელი იყო. კომისიისთვის ამ წინადადებით მიუმართავს დარგობრივ ქვეკომისიას, კონკრეტულად კი პროფესორებს: ვაჟა კეშელავას და ჰენრი კუპრაშვილს, საბოლოოდ, ცხადი და გარკვეული რომ ყოფილიყო კონკურსის შედეგები, კომისიამ მათ წინადადებას მხარი დაუჭირაო. დოკუმენტაციის შეფასებით მიღებული ქულებისა და გასაუბრების შედეგად მიღებული ქულების შეჯამებით გადანაწილდა ადგილებიო.

სახალხო დამცველმა გააკრიტიკა, აგრეთვე, გასაუბრების თაობაზე შედგენილი საკონკურსო კომისიის ოქმიც, რომელიც „ნამდვილად არ იძლევა შესაძლებლობას, გავიგოთ, თუ რა კრიტერიუმებით შეფასდნენ კონკურსანტები, ვის რა დამოკიდებულება ჰქონდა კონკურსის მიმართ ან როგორ გადანაწილდა კენჭისყრის შედეგები ხმათა უმრავლესობით მისაღები გადაწყვეტილების მიღებისას“, – ჩაწერილია სახალხო დამცველის განცხადებაში.

სახალხო დამცველი ფიქრობს, რომ თანასწორობის პრინციპი დაირღვა. ეს კი არსებითად არღვევს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების მიღების კანონით დადგენილ წესსა და პროცედურას, რაც კონკურსის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი უნდა გახდეს. სახალხო დამცველი უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ გიორგი ხუბუას კონკურსის შედეგების გადახედვას და კანონშესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას ურჩევს.

თავად თამარ კიკნაძემ კი საქმე უკვე აღძრა ქალაქის ადმინისტრაციულ სასამართლოში. იგი კონკურსის შედეგების გაუქმებას და ხელმეორედ ჩატარებას ითხოვს.

**ნატა ნიბლაძე**

## შენ, სისხლო ჩემო...

**არტანუჯს შევყურებდით სულმოუთქმელად. ცაზე მდორედ მიგორავდნენ ღრუბლები და მდინარე არტაანის მორევში ჩაძირულიყო პიტალოთაგან ასხლეტილი სახება ზვიად ციხე-კოშკთა.**

„არტანუჯი“ – „არტანყუჯი“ – „არტაანის ყური“... – ღაღადებს „ქართლის ცხოვრება“ და შენდაუნებურად მუხლს იყრი დიდი ქართველების წინაშე.

არტაანის ყურად და დარაჯად აღაშენა გორგასალმა იგი. შემუსრა ყრუმ. აღადგინა აშოტ კურაპალატმა. აქვე, „ციხესა შინა აღიგო“ ეკლესია პეტრე-პავლესი!.. – გვიყვება მემატიანე და ყველაფერი ერთად იყრის თავს, – გაგონილი, წაკითხული და ნანახი.

შავშეთში გაცნობილმა ჩემმა ლაზმა მეგობარმა, ისმაილ ბექირიშვილმა მითხრა: – საქართველოში რომ მიბრძანდებოდა, ჰაჰოს ხატმა ოშკი გამოიარა, ბანა გამოიარა, იშხანი გამოიარა, და არტანუჯთან სასწაულები მოახდინა... ამ სასწაულით დააღწია თავი, თურმე, ავაზაკებს. სული აუდგამს, ზეციდან ანგელოზები ჩამოფრენილან, ამის მნახველ მომხვდურებს თვალები დაბრმავებიათ და დამხობილან პირქვე. მერე, ბარხალს ჩამობრძანებულა, აქედან ოპიზა გამოუვლია, ტბეთი და ხანძთა გამოუკვლია და გაუგრძელებია გზა საქართველოსკენ, დალოცვილს!..

არ ვიცი სად ამოიკითხა, ან სად გაიგონა ისმაილმა ეს ლეგენდა, მაგრამ ასე სჯეროდა ამ ძირძველ ქართველს ეს ამბავი და მე რა უფლება მქონდა არ დამეჯერებინა მისთვის, მით უმეტეს, ამას რომ ამბობდა ჩემი ლაზი, თვალებში მზე ედგა და მკერდზე მთელი სამყარო ეფინა.

ჩვენმა გზა-შარამაც ჯერ პარხალისკენ, შემდეგ კი ხახულისკენ „გადაუხვია“.

– „პარხალი არ ჰქვია ამ მდინარეს... ჩვენ „ბარხალს“ ვეძახით, ლაზები! „ბარხალი“ ხმაურს ნიშნავს ლაზურად და მართლა ბარხალი გააქვს ამ წყალს!“ – კვლავ მახსენდება ისმაილის სიტყვები, ყველაფერს ქართულს, ლაზურს რომ უკავშირებდა ერთთავად!

ცა იყო ლურჯი და კრიალა. ბილიკს დარაჯობდა მედრესე... ეზოში მოხუცი თვლემდა ხის ძირას.

– სალამ ალეიქუმ! – მივესალმეთ ჩვენი მწირი თურქულით.

რაღაცა გვიპასუხა ულაზათოდ.

– „პარხალ ქილისა“ საით არის, ვერ გვეტყვით?

ზანტად მოაბრუნა თავი და აღმავალ ბილიკზე მიგვითითა. ბილიკი კი, ბილიკს უერთდებოდა. ამ ბილიკს იქით კი, იდგა საოცრება!..

მოწიწებით მივაპყარით მზერა უწმინდეს სალოცავს და შევეცადეთ წაგვეკითხა ქართული სულიერების კიდევ ერთი გვერდი. მაგრამ ამ გვერდს ახლა, თითქოს ციდან აღემართა ხელები და გაყინულიყო! მხოლოდ შორიდან ჩამოგვესმა ხმანი მამა-პაპათა! – იწერებოდა ფოლიანტები, იქმნებოდა ოთხთავები და ნელა, მშვიდად შენდებოდა ტაძარი ქართული...

გაოცება და სიამაყე დაგვატარებდა პარხალის ხეობაში. „პარხალი ქილისას“ გარშემო კელაპტრით ხელში დავაბიჯებდით. თავს ვევლებოდით ყოვლად წმინდასა და უძვირფასესს, ფაქიზად ნათალ ლოდებს ამბორით ვცემდით თაყვანს და აღტაცებას ჰგავდა ტაძარი. მაგრამ ამ ტაძარს ახლა დაგმანული ჰქონდა კარები! არც არავინ იყო გამღები მისი!.. – იქვე, ეზოში მობოგინე „ეფენდის“ გულგრილობა და უაზრობა გვეუბნებოდა სათქმელს!..

...იუსუფელიდან ტრასა ერზერუმისკენ მიდის. მარცხნივ, იშხანისაკენ მიუყვება ჭირკვალი ფრიალი ალმართს. მარცხნივ არის ოპიზაც, ტბეთიც, ხანძთაც! მარჯვნივ, ერზერუმის გავლით კაპადოკიაში გადადის შარა. აქეთკენაა ოშკი, ბანა და ციხე-ქალაქები, ნაგებნი ქართული დუღაბით. ოღონდ, დღეს ყველა მათგანს „ტურისტული ექსპონატი“ ჰქვია! გიდები მათ მიერ შექმნილ ათასგვარ „ლეგენდებს“ უყვებიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს. ამ ლეგენდებში კი, შემთხვევით თუ გაიჟღერებს „ქართული“ და „საქართველო“!

...გზა ხიდზე გადადის. ტყის კორომიდან მორიდებით იცქირება ხახულის ხელთუქმნელი ტაძარი, ვიღაცას წმინდა ჯვარი რომ „განუძარცვავს“ მისი გუმბათიდან.

კარიბჭესთან მუხლებზე დავარდები კაცი! მოწიწება და თაყვანისცემა გვიკარნახებს ამას. მერე, ნელა, მოკრძალებით აღიმართები, ზეცისკენ აღაპყრობ მზერას და გულში ჩასახული სიხარული ნავარდობს, რომ ეღირსე ხილვას ამ სათნოების! აქ, ტაოსა და კლარჯეთში, ამ ცადაწვდილ მთებსა და უფსკრულამდე ჩავარდნილ ხეობებს შორის იწრთობოდა აზრი და გონება იბერიონთა. აქ იჭედებოდა სიმტკიცე ერის!

ისმაილ ლაზმა თავის ლეგენდაში ამიტომ „გამოატარა“ ხახულის ხატი მთელი ტაო და მერე, „გაუშვა“ საქართველოში, სადაც დაიწერა მისი ახალი ბიოგრაფია.

...ესვენა მინანქარცურვილი ხატება და ხელები, ოქრო-ვერცხლით მოჭედილ კარედში და ერქვა წმიდა სახელი ხახულის ღვთისმშობლის ხატისა. მერე, როცა დავით აღმაშენებელს ერთობილი საქართველოდან გელათის მონასტრისთვის შეუკრებია საგანძურები, ხახულის სასწაულმოქმედი კარედიც აქ გადმოუსვენებია და ძვირფას შენაწირთა სიუხვეს გაუოცებია ქვეყანა. შამქორის სახელოვან ომში გამარჯვებულ თამარს უმთავრესი ზინათი და ხალიფის დროშა „ქართველთა ძლევამოსილების ეს ძვირფასი ნიშანი“, მამა-პაპათა მსგავსად, ვედრებითა და შეწირვით წარუგზავნია დიდ მონასტერში ხახულის ღვთისმშობლის წინაშე. უხვი და ძვირფასი იყო შენაწირი ხახულის ხატისა შემდეგშიც და ეს სიუხვე გახდა ხატის ხშირი ძარცვის მიზეზი.

უგუნურთაგან პირველად 1859 წელს განიძარცვა იგი.

1904-05 წლებში ყაჩაღებმა არაერთხელ ააოხრეს გელათი, გაძარცვეს „ხახულიც“ და თან წაიღეს ქართული ოქრომჭედლობის ურიცხვი ნიმუში. მოგვიანებით ღვთისმშობლის მინანქრის სახე და ხელების ფრაგმენტები აღმოაჩინეს ვიღაც კოლექციონერის საცავში და 1923 წელს მთავრობის დადგენილებით დაუბრუნდა საქართველოს! ხოლო, 1952 წელს ხახულის ღვთისმშობლის კარედი ხატი „შენახვის მიზნით“ გადმოასვენეს საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ხახულის ტაძარი კი, იდგა ჰაჰოს მთებში უპატრონოდ და მიუსაფარი. უცხოთა „განგების“ მყუდროებაში დავანებულიყო ქართული სულიერი კულტურის დიდებული ძეგლი, რომლის კედლებს, დღეს, მხოლოდ, ძუნწი, უსუსური წარწერა შემორჩენია და ისიც სხვათა ენაზე.

# მედრესეს დაეჩრდილა ქრისტეს ჯვარი!


პარხალი


ხახული

„...აგებულია დავით III-ის (ბაგრატის სამეფოს მეფისძ 976-1001 წლებში. ეკლესია წარმოადგენდა ბაზილიკისა და ჯვარისებრი ფორმის ნაჯვარს. ეკლესია მდიდარი იყო სხვადასხვა ფრესკებით. მათში შეინიშნება გრიფონის, არწივის, ხარის და ა. შ. გამოსახულებები“!.. და მეტი არაფერი!

...ტაძრის შესასვლელს აქაც უზარმაზარი ბოქლომი ადევს. კაციშვილი არ არის აქაც. საიდანღაც თურქის ბავშვი გამოდის და რაღაცას „გვარწმუნებს“. ჩვენ მისი არ გვესმის, მას – ჩვენი! მერე, ჩარბის ბილიკს თავქვე და კიდევ ცოტა ხანში მოლასთან ერთად ბრუნდება. მოლა ტაძრის კარებს გვიღებს. კარებთან გვაშიშვლებინებს ფეხებს და თურქულ ლირებს „გვაწერს“! შევდივართ ხალიჩებით მოფენილ მეჩეთში (!!)ძ და მოლა „სენაკში“ შედის. იმავე წუთს რადიოქსელი სოფელს აუწყებს „რაღაცას“. თვალის დახამხამებაში გაივსო ხახული ბავშვებით. „მანი, მანი!“ იყო მათი მთავარი „მოთხოვნა“! ფულს „აკეთებდნენ“ ურწმუნო „მორწმუნენი“! რამდენსაც გავცემდით, მით მეტად ემატებოდა ბავშვების „ქარავანს“ ბავშვები...

დავდიოდით ტაძრის გარშემო, ქართულ ჩუქურთმებზე ამბორით ვიხდიდით შესაწირს და გულში ვიმეორებდით „მამაო ჩვენოს“... კვლავინდებურად მოგვყვებოდა „მანი, მანი“ და ო, ღმერთო, დიდებულო! – შევამჩნიე, ჩვენს დანთებულ სანთლებს, როგორ აქრობდნენ თურქის ბალღები და სიცილ-კისკისით, როგორ აფურთხებდნენ ჩვენს ნაამბორალს...

მომეჩვენა, ცრემლები სდიოდათ წმინდა მამებს!

მხოლოდ ხახულში მივხვდი, რატომ იყო ჩარაზული პარხალის კარები, რატომ არ გვიღებდა არავინ მას და რატომ გვიბღვერდა ის „ეფენდი“ ჩეროში რომ თვლემდა ნებიერად!..

მედრესეს დაეჩრდილა ქრისტეს ჯვარი!

**ზაურ ფიფია.**
**თბილისი-ართვინი-იუსუფელი-თბილისი.**

**ია ფიფიას ფოტო**

## ეს ჩვენი ისტორიაა

# ტაშისკარის ბრძოლა – 400!

**საქართველოს თავისი ისტორიის მანძილზე მრავალი სისხლისმღვრელი, უთანასწორო ბრძოლა გადაუტანია. ყველა ეს ბრძოლა უმეტეს შემთხვევაში ძლევამოსილი გამარჯვებით მთავრდებოდა. ამ ძლევამოსილი ბრძოლების მთავარზე მთავარი შედეგი ის არის, რომ საქართველო გადარჩა, საქართველო განაგრძობდა სახელმწიფოებრივეროვნულ ცხოვრებას და დღესაც, XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, კვლავ გმირულად იცავს თავის არსებობას, წარსულს, აწმყოსა და მომავალს...**

ტაშისკარის ბრძოლა, რომლის შემდეგაც უკვე 400 წელი გასულა, დღესაც გმირობისა და ვაჟკაცობის, ერთგულებისა და თავგანწირვის სიმბოლოდ რჩება ქართველთა მეხსიერებაში, გულსა და გონებაში.

ალბათ ზედმეტი არ იქნება კვლავ გავიხსენოთ ტაშისკარის ძლევამოსილი ბრძოლის ქრონიკა, მოვიხსენიოთ ის პატრიოტები, ვინც ტაშისკარის ბრძოლაში გამარჯვება გამოსჭედეს:

„ტაშისკარის ბრძოლა, 1609. ბრძოლა ქართლის სამეფოსა და ოსმალთა და ყირიმელ თათართა ლაშქარს შორის. 1609 წლის ივნისში მტრის მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელმაც რამდენიმე სოფელი ააოხრა და გაძარცვა, მოსახლეობის ნაწილი დაატყვევა, სწრაფად მიადგა მანგლისს. მტერმა აქედან გაჭრა სცადა სოფელ ცხირეთისკენ (შიდა ქართლიძ, სადაც მეფე ლუარსაბ II ეგულებოდათ. მეგზურად აყვანილმა მღვდელმა თევდორე კველთელმა მოატყუა ისინი და სხვა მიმართულებით წაიყვანა. მტერი მიხვდა მღვდლის მიზანს და ხმლებით აკუწა. ამასობაში ქართველებმა ლაშქარი შეკრიბეს და გიორგი სააკაძისა და ზაალ ციციშვილის სარდლობით სხერტის ჭალაზე მტერი უკუაქციეს. გორისაკენ გაბრუნებულთ მდ. მტკვარზე ხიდი აყრილი დახვდათ; მაშინ მტერმა ახალციხისაკენ იბრუნა პირი.



სოფ. ბორბონასთან მტკვარი გადალახეს და ტაშისკართან (ხაშურის რ-ნიძ დაბანაკდნენ. ქართველთა ლაშქარი ს. ახალდაბასთან (ახლანდელი ბორჯომის რ-ნიძ მდ. მტკვარზე გადავიდა და მტერს ახალციხისკენ გასასვლელი გზა გადაუჭრა. სამხედრო თათბირზე გ. სააკაძის ბრძოლის გეგმა მიიღეს და სარდლობაც მასვე დაევალა. ქართველთა ლაშქარი გათენებისას მოულოდნელად დაესხა თავს მტერს და თითქმის მთლიანად გაანადგურა. მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა გაქცევით თავს. ქართველებს დიდძალი ნადავლი და ტყვე დარჩათ. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გ. სააკაძემ“. (ქსე, თბ., 1985, ტ. 9, გვ. 669ძ.

ტაშისკარის გმირული ბრძოლების პერიპეტიები ქართულ ისტორიოგრაფიას შეუსწავლელი არ დარჩენია. ამ მხრივ პირველ რიგში უნდა დასახელდეს ვ. გუჩუას შრომა: „ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში“. მამულისათვის თევდორე მღვდლის თავგანწირვას მიეძღვნა არაერთი მხატვრული ნაწარმოები, ლექსი. მკითხველზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს მწერალ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „რახათლუხუმი“, რომელიც სულისშემძვრელად გადმოგვცემს ერთი უბრალო სასულიერო პირის მამულისადმი თავდადების გაუხუნარ ეპოპეას.

მისასალმებელია, რომ ქართული საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის სახელოვან 400 წლისთავს.

**ამირან მექვაბიშვილი,**
**ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოსთვის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების პროდუქციის მიწოდება აკრძალა

**დიმიტრი მედვედევის ბრძანებულება, რომელიც განთავსებულია რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ოფიციალურ საიტზე, მოწოდებულია სერიოზულად გააძნელოს საქართველოს არმიის შეიარაღება და, მაშასადამე, ხელი შეუშალოს თბილისის ახალ აგრესიულ გეგმებს.**

სახელმწიფოს მეთაურმა აუკრძალა რუსეთის საწარმოებს, ორგანიზაციებსა და კერძო პირებს 2011 წლის დეკემბრამდე არა მარტო მიაწოდონ საქართველოს იარაღი და საბრძოლო ტექნიკა, არამედ გადასცენ კიდეც მეზობელ სახელმწიფოს ორმაგი დანიშნულების პროდუქცია, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო მიზნით. მას განეკუთვნება ათასობით დასახელება დაწყებული ოპტიკითა და ელექტრონიკით და დამთავრებული ლითონითა და საარმიო კამუფლაჟის ქსოვილით.

დოკუმენტი მკაცრ ტაბუს ადებს ასეთი პროდუქციის გადაზიდვას საქართველოში რკინიგზებით, მის გადატანას სამხედრო და საჰაერო ტრანსპორტით. აიკრძალა აგრეთვე ჩვენი ექსპერტების კონსულტაციები სამხედრო საკითხებზე, სამსახურის გაწევა შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის წარმოებაში, საქართველოს არმიისა და ფლოტის არსენალის მომსახურება, დახმარება მეზობელი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სპეციალისტთა მომზადებაში.

გადაწყვეტილია ასეთი აკრძალვა განამტკიცონ სერიოზული საგარეო პოლიტიკური აქციებით. პრეზიდენტის ბრძანებულებით, იმ ქვეყნების, უცხოეთის ორგანიზაციებისა და ცალკეული ადამიანების მიმართ, რომლებიც ეწევიან საქართველოს არსენალების შევსებას, რუსეთის მთავრობა მიიღებს სპეციალურ ეკონომიკურ ზომებს. თუ რას გულისხმობენ ისინი, დოკუმენტში არ არის ნათქვამი. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქმე ეხება ასეთი პარტნიორებისთვის სავაჭრო და სატრანსპორტო შეღავათების, რუსული ლიცენზიების ჩამორთმევას, ზოგიერთ შემთხვევაში კი, შესაძლოა, ერთობლივი ბიზნესგეგმების შეკვეცას. კავკასიაში მშვიდობა და სტაბილურობა რომ უზრუნველყოს, რუსეთი მზად არის დაიკავოს შეურიგებელი პოზიცია იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც ოდესღაც მიიღეს საბჭოთა ან რუსული იარაღის წარმოების ლიცენზია და ახლა ამ იარაღით ვაჭრობენ თბილისთან. თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ამან უშიშროებას, შეიძლება ვიმსჯელოთ გასული წლის აგვისტოს ამბებით სამხრეთ ოსეთში. სააკაშვილის რეჟიმისთვის უკრაინის მიერ ჯერ კიდევ სსრ კავშირში წარმოებული ტ-72 ტანკები, ბმ-21 „გრადის“ ტიპის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, საჰაერო თავდაცვის „ბუკ“-ის ტიპის საზენიტო-სარაკეტო სისტემები სპობდნენ მშვიდობიან ოსებს, შეიწირეს რუსი ჯარისკაცების სიცოცხლე.

ამიტომ სახელმწიფოებთან, რომლებიც ქართულ არმიას ამარაგებენ საბჭოთა და რუსული იარაღით, ჩვენი ქვეყანა შეზღუდავს ან სულაც შეწყვეტს სამხედრო-ტექნიკურ და სამხედრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას.

### კომპეტენტურად

**ლეონიდ ივაშოვი**, გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის პრეზიდენტი, გენერალ-პოლკოვნიკი

— პრეზიდენტი სწორად მოიქცა, რომ აუკრძალა რუსეთის საწარმოებსა და მოქალაქეებს სამხედრო მომსახურება გაუწიონ ჩვენდამი მტრული პოლიტიკის განმახორციელებელ სახელმწიფოს. სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა საქართველოსთან გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან არ გვაქვს. ისინი არ იძენენ ჩვენგან იარაღს, არ ასრულებენ სარეგლამენტო სამუშაოებს რუსეთის საწარმოებში. ქართველებმა იმედი დაამყარეს დასავლეთის ნიმუშებზე. ამასთან ისინი არ ყიდულობენ მათ. მათ მხოლოდ ჩუქნიან იმას, რაც ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში დარჩა. ამერიკელები თუ მიაწვდიან ვერტფრენებსა და რადიოტექნიკურ საშუალებებს. ასე რომ, ეკონომიკური თვალსაზრისით რამენაირ ზარალს ჩვენს თავდაცვის ქარხნებს არ მოუტანს ეს გადაწყვეტილება.

ახლა, რაც შეეხება საქართველოში სხვა ქვეყნებიდან საბჭოთა წარმოების იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიწოდებას. დღეს ნახევარ მსოფლიოს აქვს ასეთი შეიარაღება. კაცმა რომ თქვას, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, რომელიც გნებავთ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ აქვს მისი წარმოების უფლება. სხვათა შორის, საბჭოთა არსენალი ნატოს ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, საბერძნეთშიც არის. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან ძნელია დაამტკიცო, რომ ასეთი იარაღის წარმოების ლიცენზია მხოლოდ რუსეთს ეკუთვნის.



**იური გავრილოვი**

РОССИЙСКАЯ ГАЗЕТА

# სტრატეგიული სიგიჟის ქარტია

**9 იანვარს საქართველომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერეს ქარტიას სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ. ამ დოკუმენტით გათვალისწინებულია ვაშინგტონის დახმარება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებასა და ნატოში მისი შესვლის მომზადებაში.** შევნიშნავთ, რომ 2008 წლის დეკემბერში მსგავს დოკუმენტს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერა უკრაინასთან. ორივე ქარტიაში ამერიკის შეერთებული შტატები გეგმავს გაააქტიუროს თანამშრომლობა უშიშროებისა და თავდაცვის სფეროში და განსაზღვრავს თავის ურთიერთობას კიევთან და თბილისთან როგორც „სტრატეგიულ პარტნიორობას“.

ამასთან, სამხედრო ასპექტების გარდა, გათვალისწინებულია ურთიერთინტერესები ევროპაში ნახშირწყალბადების ტრანსპორტირების სფეროში. დასავლეთში რუსული გაზის მიწოდების დაწყებულ კრიზისთან დაკავშირებით საქართველოსა და უკრაინასთან ხელმოწერილი ამერიკის ქარტია გამოიყურება როგორც ამ ქვეყნების ხელმძღვანელობისადმი თავისებური მხარდაჭერა მოსკოვთან არცთუ უბრალო, ხშირად კი კონფლიქტურ ურთიერთობაში.

ამასთან, საქართველო-ამერიკის ქარტია უფრო მეომრული სულისკვეთებით განმსჭვალულ დოკუმენტად გამოიყურება; აქ აშკარად ჩანს ანტიმოსკოვური ქვეტექსტი. „აღიარებენ რა, რომ მსოფლიოში მშვიდობასა და სტაბილურობას საფრთხეები ემუქრება, ითვალისწინებენ რა საქართველოსა და რუსეთს შორის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ძალის არგამოყენების შესახებ ვალდებულებას, ამერიკის შეერთებული შტატები და საქართველო გეგმავენ გააფართოონ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის პროგრამების ფარგლები“, — ნათქვამია ქარტიაში. მასში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ „ამერიკის შეერთებული შტატები მხარს დაუჭერს საქართველოს ძალისხმევას, დააკმაყოფილოს თავისი უსაფრთხოებისა და თავდაცვის ლეგიტიმური საჭიროებები, მათ შორის ჯეროვანი, ნატოსთან თავსებადი სამხედრო ძალების განვითარების გზით“. ამრიგად, ამერიკის შეერთებული შტატები თითქოსდა მხარს უჭერს საქართველოს იმ კურსს, რომ განახორციელოს მილიტარიზაცია და თავის შემადგენლობაში დააბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, რომელთა დამოუკიდებლობა მოსკოვმა უკვე ცნო. გარდა სიგიჟისა, ასეთ გეგმებს ვერაფერს ვერ ვუწოდებ.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს ამ მოქმედებას რუსეთის ოფიციალური პირები მშვიდად მოეკიდნენ. მაგრამ მოსკოვში კარგად ესმით, რომ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების შემდგომი დაახლოება საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. მსგავს დასკვნას კიდევ უფრო განამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის სააკაშვილის განცხადებები, რომელმაც პირდაპირ განაცხადა, რომ ვაშინგტონში ხელმოწერილ ქარტიას ამერიკის შეერთებულ შტატებთან სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის. „ამ დოკუმენტის ხელმოწერით საქართველო არსებითად უახლოვდება ევროატლანტიკურ სივრცეს, მინდა შეგახსენოთ, რომ ნატოში ბალტიის ქვეყნების შესვლას წინ უსწრებდა სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ანალოგიური დოკუმენტის ხელმოწერა“, — აღნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

მართალია, თუ დავაკვირდებით, საქართველო სულაც არ ჰგავს ბალტიის ქვეყნებს. სააკაშვილის რეჟიმი მარწუხებში აქცევს ქვეყანაში დემოკრატიასა და თავისუფლებას. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და სხვა ქვეყნებშიც მრავალი პოლიტიკოსი და ორგანიზაცია სიფრთხილით ეკიდებიან თბილისში ახლანდელი ხელმძღვანელების მოქმედებას. ამასთან, ვაშინგტონში ახალი ადმინისტრაცია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბარაკ ობამას სახით, რომელიც ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას ადგას, მზად არის კომპრომისებისა და თავისი ინტერესების დაცვისთვის სამხრეთ კავკასიაში. სააკაშვილს კი მხოლოდ ეს უნდა.

როგორც ახლახან ოპოზიციური საქართველოს ლეიბორისტული პარტიის მდივანმა ნესტან კირთაძემ განაცხადა, საქართველოს ლიდერი დღეს მართავს აქტიურ მოლაპარაკებას ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზების განლაგების საკითხზე. მისი თქმით, ქვეყნის ხელმძღვანელობა „მზად არის ამერიკის შეერთებულ შტატებს გამოუყოს საქართველოს რამდენიმე ათასი ჰექტარი ტერიტორია ქვეყანაში სამხედრო ბაზების განლაგებისთვის 90 წლის ვადით და საიჯარო ფასის გადაუხდელად“.

მსგავსი ინფორმაცია ოფიციალურმა თბილისმა უარყო. მაგრამ საეჭვოა, რომ შეიძლებოდეს ენდო ასეთ უარყოფას. სააკაშვილს არაერთხელ მოუტყუებია მსოფლიო საზოგადოებრიობა. ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესები კი საქართველოში შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს და უკეთეს ადგილს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სამხრეთში ძნელად თუ მონახავს კაცი. უკვე ქარტიის ხელმოწერის შემდეგ შეერთებულმა შტატებმა და საქართველომ შეათანხმეს თავდაცვის სფეროში ორი სახელმწიფოს თანამშრომლობის გეგმა. საქართველოს თავდაცვის მინისტრის დავით სიხარულიძის აღიარებით, „დოკუმენტი კარგ წანამძღვრებს ქმნის საიმისოდ, რომ აქტიურად ვითანამშრომლოთ როგორც ამერიკელ, ისე ევროპელ პარტნიორებთან ნატოში საქართველოს ინტეგრაციის საკითხებში“.

გარკვეული სიმართლე საქართველოს თავდაცვის მინისტრის სიტყვებში არის. 2008 წლის შემოდგომაზე ხელი მოეწერა შეთანხმებას საქართველოსთვის ერთი მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ. საერთაშორისო სავალუტო ფონდი აგრეთვე მზად არის მისცეს ქვეყანას 750 მილიონი დოლარის კრედიტი. ამ დახმარებიდან არცთუ ცოტა ფული მოხმარდება აშკარად საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციას. ამრიგად, არის საქართველოს ახლანდელი ლიდერების ახალი რევანშისტული გეგმების საფრთხე. ისინი მიისწრაფვიან ნატოსკენ და უკვე აშკარად მიიჩნევენ რუსეთს თავიანთ მტრად. ანალოგიურ მოქმედებას ახორციელებს დღეს უკრაინის ადმინისტრაცია. მაგრამ მსოფლიოში, და განსაკუთრებით ევროპაში, აგვისტოს მოვლენების შემდეგ, რომელთა დროს საქართველომ მოახდინა აგრესია სამხრეთ ოსეთის მიმართ, აგრეთვე უკრაინის გავლით რუსული გაზის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული გაზის სკანდალების შემდეგ, უკვე კარგად ესმით, რომ კიევისა და თბილისის შემდგომმა მილიტარიზაციამ და ნატოში შესაძლო მათმა მიღებამ, შეიძლება გაართულოს სიტუაცია.

როგორც ამ დღეებში საფრანგეთის სამხედრო უწყების მეთაურმა ერვე მორენმა განაცხადა, როცა ახასიათებდა ევროპაში შექმნილ ვითარებას, ახალ პირობებში „შეუძლებელია მშვიდობისა და უშიშროების კონტინენტის აშენება, თუ ამასთან უგულებელვყოფთ იმას, თუ როგორი იქნება ამ მხრივ რუსეთის პოზიცია“. მას მიაჩნია, რომ „ნატოს გაფართოება უნდა ხდებოდეს რუსეთთან ნდობის ურთიერთობის შექმნის გათვალისწინებით“. მორენმა ისევ გაიმეორა, რომ „სულ ბოლო დრომდე საფრანგეთი არ უჭერდა მხარს ნატოში საქართველოსა და უკრაინის შესვლის იდეას“. და ეს პოზიცია ემყარება კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფაში ალიანსის როლის შეფასებას, რითაც რუსეთი არანაკლებ არის დაინტერესებული, ვიდრე ევროკავშირი.

ამგვარ პოზიციას იზიარებს გერმანიის მრავალი ხელმძღვანელიც. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვიცე-კანცლერმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა ბარაკ ობამას გაუგზავნა ღია წერილი, რომელშიც შესთავაზა, რომ თავის მომავალ საერთაშორისო პოლიტიკაში რუსეთის ინტერესები გაითვალისწინოს. მისი თქმით, ჩრდილოატლანტიკურ კავშირს არ შეიძლება ეკუთვნოდეს განსაკუთრებული უფლება მშვიდობის დამყარება-მხარდაჭერისა, „ჩვენ მეტისმეტად დიდხანს გადავდებდით ხოლმე ღია დისკუსიას კონკრეტულ პრობლემებზე, რადგან გატაცებული ვიყავით ალიანსის გაფართოებით. ჩვენ გვჭირდება რეფორმა — იმ ამოცანების ახალი გაგება, რომლებიც ევროატლანტიკური გაერთიანების წინაშე დგას“. ამასთან შტაინმაიერი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთობლივ ინიციატივებს განიარაღების დარგში. „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი იმოქმედებენ ერთად, ჩვენ მივაღწევთ წარმატებას“, — ხაზს უსვამს გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაური.

**ანდრეი კორბუტი**

ВПК

### აქტუალური ინტერვიუ

# სინათლისა და სიბნელის მარადიული ომი

## ჩვენი სტუმარია მწერალი გურამ ბათიაშვილი

***შარშანდელი** წელი ნაყოფიერი გამოდგა ბატონი გურამ ბათიაშვილისთვის. იმის გარდა, რომ მისი ახალი რომანის „ჟამი დუმილისა, ჟამი უბნობისა“ წარდგინება გაიმართა მოსკოვში, იგი როგორც ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ მთავარი რედაქტორი ამერიკის შეერთებულ შტატებში შექსპირულ თეატრალურ ფესტივალსაც სტუმრობდა. მწერალთან საუბარი უწინარესად ამან განაპირობა, თუმცა ვერც გართულებულ რუსულ-ქართულ ურთიერთობას ავუარეთ გვერდი.*

*ბატონი **გურამ ბათიაშვილი** არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ებრაულ გაზეთ „მენორას“ მთავარი რედაქტორი.*

**— თქვენ შარშან, ოქტომბერში ამერიკის შეერთებულ შტატებში სანტა ბარბარას შექსპირულ თეატრალურ ფესტივალზე კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრს ახლდით. როგორია თქვენი შთაბეჭდილება? რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ ცნობილ თეატრალურ ფორუმზე აგვისტოს მოვლენების შემდეგ ქართველების გამგზავრება?**

— სანტა ბარბარას თეატრალური ფესტივალი 10 წლის წინათ დაარსდა. ფესტივალის ორგანიზატორმა, რეჟისორმა და თეატრალურმა მოღვაწემ ჯონ ბლონდელმა მალე მას პროფილი შეუცვალა და მხოლოდ შექსპირის დრამატურგიის მიხედვით დადგმული სპექტაკლების ფესტივალად აქცია. ფესტივალში მონაწილეობდნენ საბერძნეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სლოვენიის, ბულგარეთის... და სხვა ქვეყნების თეატრალური დასები. ლევან წულაძის მიერ განხორციელებულ მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლს „ზაფხულის ღამის სიზმარი“ დიდი წარმატება ხვდა წილად. მაყურებელი აღფრთოვანებული იყო და ფეხზე ადგომით ტაშს უკრავდა. ბლონდელმა თეატრს ფანტასტიკური უწოდა, მზად ვარ, დასი მომავალ ფესტივალზეც მოვიწვიოო.

აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ამ მეტად პრესტიჟულ ფესტივალში ქართული დასის მონაწილეობას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭებოდა — ლოს ანჯელესის მებაჟეებმა პასპორტებს რომ დახედეს, გაიოცეს, თქვენ იმ ქვეყნიდან ჩამოხვედით, რომელსაც რუსეთთან ომი აქვს და მაინც მოდიხართო. **შეიძლება ზოგს გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ ასე მგონია, როცა ქვეყანა დიდი განსაცდელის წინაშე დგას, დიდ თეატრალურ ასპარეზზე გამოსვლა ბრძოლის ველიცაა...** ამერიკელმა მაყურებელმა ბევრი რამ არ იცის ჩვენზე და ამ გასვლით დავანახვებდით, რომ ჟამთა სიავის მიუხედავად, საქართველოში ხელოვნება მაინც იქმნება და ვითარდება...

და კიდევ ერთი გარემოება: ბოლო ოცი წლის განმავლობაში საქართველო ხშირად ჩანს მსოფლიოს ტელეეკრანებზე. რა ინფორმაციას ღებულობს მსოფლიოს ტელემაყურებელი საქართველოდან? სამოქალაქო ომი, ბრძოლები დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე, დანგრეული საქართველოს დედაქალაქი, ომი დედაქალაქიდან სულ რაღაც მეასე კილომეტრზე, სამეგრელოში გამართული შეტაკებები, დარბევები, ომი დასავლეთ საქართველოში ქვეყნის ერთ-ერთი კუთხის — აფხაზეთის შესანარჩუნებლად. **ყველაფერ ამას რუსეთის აჩრდილი დასტრიალებს, მაგრამ რუსეთს ხომ ჩვენც მივეცით საამისო საშუალება, აისრულოს დიდი ხნის ნანატრი ოცნება: ჩვენ ხან პარლამენტში ვიჭრებით, ხან კი ერთმანეთს ისე ვექცევით, რომ ეჭვქვეშ ვაყენებთ ერის უზარმაზარ მონაპოვარს — დიდ ქართულ კულტურას.** ამ ფონზე, რასაკვირველია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული თეატრის და, საერთოდ, ქართული კულტურის ნიმუშების უცხოეთში გატანას. კულტურა სულ სხვა ორიენტირებს ქმნის და უტოვებს იმ ქვეყნების მოსახლეობას, სადაც ჩვენი თეატრი, კინო, მუსიკა თუ ხელოვნების სხვა სფერო იქნება წარმოდგენილი. ამდენად, კოტე მარჯანიშვილის თეატრის ამჟამინდელი მონაწილეობა საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე ძალზე მნიშვნელოვანია. როდესაც ამას ვამბობ, სულაც არ მავიწყდება შოთა რუსთაველის სახელობის თეატრის, იგივე მარჯანიშვილის თეატრის დიდი წარმატებები საერთაშორისო ასპარეზზე. დღეს ქართულ თეატრს დიდი ავტორიტეტი აქვს. სანტა ბარბარაში იმასაც კი მეკითხებოდნენ რობერტ სტურუას, გია ყანჩელს თუ იცნობო, როცა ვპასუხობდი, ვიცნობ-მეთქი, იმას მეკითხებოდნენ, მაგ თეატრს შენი პიესა თუ დაუდგამსო, და დადებით პასუხს რომ ვაძლევდი, პატივისცემას ვგრძნობდი...

შემდეგ სპექტაკლი ნიუ-იორკელი გელა საჩალელის და ნინო ყენიას ინიციატივით ნიუ იორკში, ბრუკლინის 1400-ადგილიან დარბაზ „მილენიუმში“ გაიმართა. ამბობენ, ნიუ იორკსა და მის ახლო-მახლო ქალაქებში მიმოფანტული ქართველობა და ქართველი ებრაელობა 50 ათასი იქნებაო. ზოგი კი მიიჩნევს 80 ათასი ქართველი ცხოვრობსო. უამრავი მაყურებელი მოვიდა. სანტა ბარბარასგან განსხვავებით, ეს ქართული აუდიტორია იყო. ისინი საოცარი დღესასწაულის მომსწრენი გახდნენ და ორიოდ საათით სანუკვარ ქართულ სამყაროში გადაინაცვლეს.

სპექტაკლი მშვენიერი, შთაგონებით, ნიჭიერებით მოელვარე იყო. ამ განწყობილებას მაყურებელი შთააგონებდა დასს. იმ დღეს მაყურებელი სხვა სიხარულსაც ეზიარა — სპექტაკლის შემდეგ ლეო ანთაძემ და დათო დვალიშვილმა „მრავალჟამიერი“ წამოიწყეს, მსახიობები და მაყურებელი თვალზე ცრემლმომდგარი მღეროდნენ... თეატრის მაგიამ ასე გააერთიანა სცენა და დარბაზი.

**— როგორი შთაბეჭდილება დატოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში თავმოყრილმა ჩვენმა სისხლმა და ხორცმა?**

— შესანიშნავი! ეს არის საქართველოზე შეყვარებული, მოფიქრალი ხალხი, რომელიც ჟამთა სიავემ შორეულ ქვეყანაში გადაისროლა. არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც საქართველოში დაბრუნებას არ გეგმავდეს. აშშ-ში შრომა-გარჯისთვის ჩასული ქართველობის ამერიკულ საზოგადოებასთან ადაპტაცია ჯერჯერობით არ შეიმჩნევა, ცხოვრობენ ისევ ისე, როგორც თავის დროზე ქუთაისში, ზესტაფონსა თუ თბილისში.

რასაკვირველია, კარგია მათი ფიქრი ისევ საქართველოს რომ დასტრიალებს თავს, მაგრამ ამის პარალელურად უნდა მოინახოს იმ საზოგადოებასთან ადაპტაციის გზები, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ეს მათში დააგროვებს დიდ ცოდნას, ინტელექტუალურ პოტენციალს. **არ უნდა განმეორდეს 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის შეცდომა — მათში იმდენად ძლიერი იყო დაკარგული სამშობლოს სევდა, რომ ვერ გახდნენ, არც შეეცადნენ ფრანგულ საზოგადოებრიობასთან, მის ყოფასთან ინტეგრაციას და რეზერვაციაში ცხოვრობდნენ.**

ამას ვერ ვიტყვი აშშ-ში მოხვედრილ ქართველ ახალგაზრდებზე — მშვენივრად ახერხებენ საზოგადოებრიობასთან ინტეგრაციას და როდესაც ისინი ამ ქვეყნის, საზოგადოების სრულქმნილი ნაწილნი გახდებიან, მეტ სარგებლობას მოუტანენ სამშობლოს. უფროსი თაობა თავის თავგანწირვას, სამშობლოსთან განშორების ტკივილს, მწარე ხვედრს მომავალ თაობას უძღვნის, ყველაფერი შვილებისათვის კეთდება, შვილების ცხოვრების წესი კი ოპტიმიზმის სათავეა. თუ რასაკვირველია, საქართველოს კულტურის, დიასპორის სამინისტროები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ არ შეწყდეს მათი კავშირი ქართულ სულიერებასთან, ისინი შეიძლება იყვნენ აშშ-ში, ინგლისსა თუ საფრანგეთში, მაგრამ სულიერად უნდა იყვნენ ქართულ არეალში. მხოლოდ კულტურას, ქართულ სულიერებას — მწერლობას, თეატრს, მუსიკას, კინოს ძალუძს ეს ასი ათასობით ადამიანი საქართველომ არ დაკარგოს.



**— შეხვედრები სანტა ბარბარას უნივერსიტეტშიც ყოფილა დაგეგმილი...**

— უნდა გითხრათ, რომ მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობამ ეს ფესტივალი კარგად გამოიყენა — ჯერ ლევან წულაძეს, მერე მე და ეკა მაზმიშვილს სანტა ბარბარას უნივერსიტეტში ორ-ორი ლექცია გვქონდა — შექსპირული ფესტივალის მონაწილეებისთვის და სანტა ბარბარას უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. საუბრის საგანი გახლდათ ქართული თეატრის, კულტურის ისტორია. ლექციის დასრულების შემდეგ ეკა მაზმიშვილმა მითხრა კიდეც, რომ თავი ვერ დავაღწიე იმას, რითიც დღევანდელი საქართველო ცხოვრობს. გვერდს ვერც ავუვლიდი რუსეთ-საქართველოს ისტორიულ ურთიერთობას, აგვისტოში მომხდარ ტრაგედიას. სწორედ იმ ხანად, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, თუ ვინ დაიწყო ომი. ვფიქრობ, ომი საქართველოსა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ 200 წლის წინათ, 1801 წელს დაიწყო. გავიხსენოთ ის აჯანყებები, რომელიც მოჰყვა საქართველოში რუსეთის შემოსვლას. მაგრამ უახლოესი ტრაგედია ჩვენთვის დასავლეთ საქართველოში — აფხაზეთის შენარჩუნებისათვის ომი იყო, როდესაც აფხაზეთსა და ე. წ. ოსეთში სეპარატისტული სულისკვეთება განვითარდა. თუ უფრო დავკონკრეტდებით, სინამდვილეში ომი აგვისტოში კი არ დაწყებულა, არამედ აპრილში, როდესაც პუტინმა აფხაზეთში რკინიგზის გასაყვანად ჯარები შემოიყვანა. აგვისტოში კი, მხოლოდ გაისროლეს, თორემ რუსეთ-საქართველოს შორის ომი უკვე მიმდინარეობდა. რასაკვირველია, დაშვებული იქნა შეცდომები, მაგრამ თუ ვინმე ფიქრობს, რომ სხვაგვარ პირობებში ამ ომს — აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპაციას — რუსეთი სხვა მეთოდებით ვერ მოგვახვევდა თავს, შემცდარია. გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება: უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში საქართველოს ჰყავს მესამე პრეზიდენტი, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის, ცხოვრებისეული მსოფლმხედველობის, ბიოგრაფიის სამი ადამიანი. რუსეთს არც ერთი არ მოსწონს, რუსეთი სამივეს უგებს მახეს. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რატომაც.

**— ქართველი ებრაელის ფენომენი განსაკუთრებულია. იგი სულით ხორცამდე განიცდის ჩვენს ტკივილს. საქართველოს ისტორიაში ამის დამადასტურებელი ფაქტებიც ხომ მოიპოვება...**

— მინდა, გულახდილად გითხრათ, ხშირად მსმენია, რა კარგი ადამიანია გურამი, როგორ უყვარს საქართველოო. მიკვირს ეს სასიამოვნო რეპლიკა: სხვაგვარად როგორ შეიძლება იყოს! მე ამ მიწაზე ორიათას ექვსასი წელია ვარ, ჩემმა წინაპრებმა აქ ისე იცხოვრეს, რომ ქვეყანამ მათი ამ მიწაზე დამკვიდრების თარიღი აღნიშნა, მაგრამ ახლა სხვა რამეც ნახეთ: სად, რომელ ქვეყანაში აღუნიშნავთ ებრაელობის იმ ქვეყანაში მისვლის თარიღი?. მე ჩემი ეროვნულ-სარწმუნოებრივი ტრადიციაც მკარნახობს, პატივი ვცე ქვეყანას, სადაც ვცხოვრობ მისი ავ-კარგით. ეს ებრაული მსოფლმხედველობაა. ჩვენ ბიბლიის, ძველი აღთქმის სულისკვეთებაც გვაყალიბებდა და „ვეფხისტყაოსანიც“. მინდა ჩემი ბიოგრაფიიდან ერთი ასეთი შემთხვევა მოვიგონო: 1995 წლის ივნისში, საქართველოს პრეზიდენტის ისრაელში ვიზიტის წინ, ისრაელის პრემიერ-მინისტრს იცხაკ რაბინს შევხვდი, საუბრის დაწყების წინ ჩემი პირველი რომანი „თუ დაგივიწყო, იერუშალაიმ“ ვაჩუქე. ბატონმა იცხაკ რაბინმა წიგნი გადაათვალიერა, მადლობა გადამიხადა და თქვა: „კარგია, რომ საქართველოში მცხოვრები მწერალი ასე ასათაურებს თავის რომანს, მაგრამ თქვენ უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მოქალაქე ხართ და თქვენთვის უწინარესი მისი ინტერესები უნდა იყოს“.

**— არ მოეწონა ის, რომ რომანს დიდი მეფე დავითის ფსალმუნისეული სტრიქონი ერქვა?**

— როგორ არა, მაგრამ იგი ბრძენი კაცი გახლდათ და ძალიან კარგად იცოდა იუდაიზმი, თუ რას მიიჩნევს ადამიანის უმთავრეს მისიად.

**— რას?**

— გარემომცველი სამყაროს სამსახურს, მისი გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას. ახლა ქართველი ებრაელის ფენომენის თაობაზე დასმულ თქვენს კითხვას მივუბრუნდეთ: საქართველოში 26 საუკუნის წინათ მოსული ებრაელები შემეცნებით ქართველები არიან. ეს არის უზარმაზარი დრო, რომელმაც საგრძნობი გავლენა მოახდინა ქართველი ებრაელების ცხოვრებისეული მრწამსის ჩამოყალიბებაზე. იდენტიფიკაციის თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, ქართველი ებრაელები, უწინარესად, რწმენით იუდეველები არიან, ოლონდ ქართული ცნობიერებით. ალბათ, ამის გამო იყო, რომ საქართველოში მოსული მტერი ებრაელსაც ისევე ურტყამდა, როგორც ქართველს, ქართველი ებრაელი ისევე მიუღებელი იყო, როგორც ქართველი. საქართველოს აწ უკვე ოკუპირებულ ნაწილში ქართველი ებრაელობა აღარ დარჩა — ვერც სოხუმსა და ვერც ცხინვალში დღეს ქართველ ებრაელს ვერ შეხვდებით.

ახლახან გამოქვეყნდა, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის ათიან წლებში, ცხინვალის ქართველი ებრაელობა როგორ ებრძოდა სეპარატიზმს. ხოლო ალექსანდრე ფრონელის ერთი სტატია ადასტურებს, სამცხე-საათაბაგოში თუ როგორი იყო ებრაელობის დამოკიდებულება ქართული ენისადმი — მაშინ, როდესაც ქართული ენა მესხეთში თითქმის წაშლის პირას იყო, ებრაელებმა ქართული ენა შეინარჩუნეს: „სწორედ საკვირველია მათი ასეთი სიმტკიცე ქართული ენის შენახვა-პატრონობაში“ — წერს იგი.

თქვენ კარგად აღნიშნეთ, საუკუნეების განმავლობაში ქართველი ებრაელის ფენომენი ჩამოყალიბდა. ეს არის მთავარი.

**— შარშან, თებერვალ-მარტში მოსკოვში თქვენი ახალი რომანის „ჟამი დუმილისა, ჟამი უბნობისა“ წარდგინება გაიმართა. როგორ შეაფასა იგი რუსულმა აუდიტორიამ? რა განცდა დაგეუფლათ რუსეთის დედაქალაქში აგვისტოს მოვლენებამდე რამდენიმე თვით ადრე?**

— არ შემიძლია, არ ვთქვა: როდესაც არ გვინდა მოვლენებს თვალი გავუსწოროთ და რეალისტური ვიყოთ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით ხოლმე. ვფიქრობ, რაც მოხდა, იმაში ჩვენი ბრალიცაა.

მახსენდება, ივლისში საქართველოში, მაიაკოვსკის დღეები გაიმართა, საგანგებოდ ჩამოვიდნენ რუსი მწერლები — რუსეთის მწერალთა კავშირის მდივანი, მოსკოვის მწერალთა კავშირის საქალაქო ორგანიზაციის მდივანი, გაზეთ „ლიტერატურნაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი... საკმაოდ სერიოზული დელეგაცია იყო. ჟურნალისტთა სახლში გაიმართა შეხვედრა ქართველ მწერლებთან.

რუსმა მწერლებმა ქართულ კულტურაზე დიდი პატივისცემით ილაპარაკეს. ამაში უცნაური არაფერია, რუსეთი თავად გახლავთ დიდი კულტურის შემქმნელი ქვეყანა და სხვათა კულტურის დაფასებაც იცის. რუსულმა სამყარომ უზარმაზარი სამსახური გაუწია ქართულ თეატრს, კინოს, მუსიკას, ხელოვნების ყოველ დარგს და იმ დღეს, ჟურნალისტთა სახლში დიალოგისას მე მჯეროდა რუსი მწერლებისა. მაინც გავლიზიანდი კია... ივლისის მეორე ნახევარია, დაძაბულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, ამ დროს კულტურაზე ტკბილი საუბარი კი არა, სატკივრის განხილვაა საჭირო, მწერლების გულწრფელი დიალოგი-მეთქი. **დღევანდელი შეხვედრა აბსურდულია იმის გამო, რომ ჩვენ ყველაფერი ეს ადრეულ წლებშიც გვსმენია, თქვენ ქართულ კულტურაზე საუბრობთ, მაშინ როდესაც თქვენს დედაქალაქში მუშავდება გეგმა ჩემი დედაქალაქის დაბომბვის თაობაზე-მეთქი.**

**თითქოს, ენამ მიყივლაო, თქვენ თავადაც იცით, როგორ ახდა აგვისტოში ეს ყველაფერი.**

რომანის წარდგენაზეც (ამ რომანს რუსულ, მოსკოვურ გამოცემაში „ბაბილონელი კაცი“ ჰქვია) უხერხულად ვგრძნობდი თავს, იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ სოლიდური საზოგადოება ესწრებოდა და კეთილგანწყობილი გამოსვლებიც იყო. არ მინდოდა დამეშვა, რომ იმ ქალაქში ვიყავი, რომლის ხელისუფლებაც ჩემი ქვეყნის ოკუპაციას გეგმავდა.

ეს განცდა საქართველოში ჩამოსულ ზემოხსენებულ რუს მწერლებსაც გავანდე, იქვე დავძინე, რუსეთში მწერლობას კიდევ უგდებენ ყურს, სჯობს, ვისაუბროთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებზე და იქნებ, შევაჩეროთ ის, რაც მოსალოდნელია-მეთქი. რუსულ მწერლობას ხომ სიმართლის თქმის უზარმაზარი გამოცდილება აქვს.

რუსებმა ყველაფერი იმდენად სწორად გაიგეს, ეყოთ გონიერება და ხმა არ ამოუღიათ, პასუხი არ გამცეს, მაგრამ მოულოდნელი პასუხი გამცეს ჩვენებმა:

— კარგი რა, გურამ, როგორ შეიძლება ამაზე ლაპარაკი, სტუმრები არიან.

წარმოიდგინეთ, მეორე მსოფლიო ომის წინა დღეებში მოსკოვში გერმანელი მწერლები რომ ჩამოსულიყვნენ, რუსი მწერლები როგორ ისაუბრებდნენ იმაზე, რაც ჰაერში ტრიალებდა. იმ დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი: ჩვენში ნაკლებია სახელმწიფოებრივი ინტერესებით ცხოვრების მუხტი.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

**(დასასრული მორიგ ნომერში)**

ჭიდაობა

# კურტანიძემ სიჭაბუკე გაიხსენა

**შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 170-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.** ობიექტური მიზეზებით ხალიჩაზე არ გამოსულან ოლიმპიური ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი (84 კგ.ძ, პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორები – ოთარ თუშიშვილი (66ძ და გიორგი გოგშელიძე (96ძ, ასევე, ბოლო ოლიმპიური თამაშების მონაწილე ბესიკ გოჩაშვილი (55ძ, სამაგიეროდ, ჩემპიონობისთვის მებრძოლთა შორის სამწლიანი „შესვენების" შემდეგ კვლავ გამოჩნდა ორგზის მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი ლუკა კურტანიძე (96ძ, რომელმაც ყველა მეტოქეს სძლია და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.



გაუწყებთ წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას.

**55 კგ.** 1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორიძ, 2. გიორგი ედიშერაშვილი (თბილისიძ, 3. კოკა კოტორაშვილი (თბილისიძ და გივი დავიდოვი (სახერეძ.

**60 კგ.** 1. მალხაზ ქურდიანი (ბოლნისიძ, 2. მალხაზ ზარქუა (აჭარაძ, 3. მურთაზ კვესაძე (ქუთაისიძ და გიორგი მაყიშვილი (გორიძ.

**66 კგ.** 1. მალხაზ მუზიაშვილი (გორიძ, 2. ზურაბ კოტორაშვილი (თბილისიძ, 3. კობა კაკალაძე (აჭარაძ და გიგა ცერცვაძე (ქუთაისიძ.

**74 კგ.** 1. გელა სალირაშვილი (თბილისიძ, 2. გოჩა ლომთათიძე (თბილისიძ, 3. ბექა ბუქური (ბაღდათიძ და მარადი ზოიძე (აჭარაძ.

**84 კგ.** 1. ბექა ჭელიძე (აჭარაძ, 2. ნიკო გაგნიძე (თბილისიძ, 3. თორნიკე სვანიძე (თბილისიძ და ირაკლი მარსაგიშვილი (სტეფანწმინდაძ.

**96 კგ.** 1. ლუკა კურტანიძე (აფხაზეთიძ, 2. გიორგი ჩიქოვანი (თბილისიძ, 3. ბელდუხ გავაშელიშვილი (ონიძ და ლევან სეთურიძე (სტეფანწმინდაძ.

**120 კგ.** 1. დავით ოთიაშვილი (თბილისიძ, 2. კობა კერესელიძე (ქუთაისიძ, 3. ალექსი მოდებაძე და ლაზარე მარსაგიშვილი (ორივე – თბილისიძ.

**ეროვნული ჩემპიონატის შედეგებით ჩამოყალიბდება საქართველოს ნაკრების ძირითადი ბირთვი, რომელიც ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადება. ამ შეჯიბრებას 1-7 აპრილს ვილნიუსი უმასპინძლებს.**

**ლექსო ცინცაძე.**

**სურათზე: ლუკა კურტანიძე (მარჯვნივ) ფინალური ორთაბრძოლისას.**

**ავტორის ფოტო.**

ფეხბურთი



# სათასო ვნებანი

**შუა კვირა ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების ტოპ-კლუბებმა სათასო ბატალიებით აღნიშნეს.**

განსაკუთრებულ ინტერესს კატალონიური დერბი იწვევდა, რომელიც ფრედ – 0:0 დასრულდა. **ესპანეთის** ეროვნული ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა ბარსელონამ მატჩი საუკეთესო ბომბარდირის სამუელ ეტოოს გარეშე ჩაატარა, რომელიც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ შეხვედრისწინა ვარჯიშიდან საქმისადმი უგულო დამოკიდებულების გამო მოკვეთა. სხვათა შორის, სნაიპერი ესპანიოლსაც აკლდა – რაულ ტამუდო, მოგეხსენებათ, კარგა ხანია ლაზარეთის ბინადარია.



ვალენსიასა და სევილიას პირველი მეოთხედფინალური რაუნდი მასპინძლებმა მძაფრ ბრძოლაში მოიგეს – 3:2.

**იტალიაში** ამავე ეტაპის წინაღობა წარმატებით დაძლია „სერია – ა"-ს „ყოჩმა" მილანის ინტერმა, რომელმაც ადრიანოსა და იბრაჰიმოვიჩის ძალისხმევით ფარ-ხმალი დააყრევინა პრინციპულ მეტოქეს – რომას – 2:1.

ნახევარფინალში ითამაშებს გენუის სამპდორიაც, ვინაც პენალტების სერიაში უდინეზეს სძლია – 4:1 (ძირითადი დრო – 1:1ძ.

**ინგლისში გამოვლინდნენ ლიგის თასის ფინალისტები.** 1მარტს „უემბლის" სტადიონზე პრესტიჟულ ჯილდოს მანჩესტერი და ტოტენჰემი გაითამაშებენ. სერ ალექს ფერგიუსონის შეგირდებმა ორი მატჩის ჯამში მძიმე გამარჯვება მოიპოვეს დერბისთან – 0:1, 4:2, ლონდონელებმა კი ბარნსლი დაჯაბნეს – 4:1, 2:3.

**გაუწყებთ დსთ-ს თასის გათამაშების მეოთხედფინალური თამაშების შედეგებსაც:** ინტერი (ბაქოძ – რეგარი 2:0, პახტაკორი – ეკრანასი 1:1 (პენალტებით – 4:2ძ, აქტობე – მტზ რიპო 4:1, შერიფი – ვენტსპილსი 0:0 (პენალტებით – 5:4ძ.

კალათბურთი

# ზაზა ნდობას ამართლებს




**ზოგი ჭირი მარგებელიაო, ატლანტა ჰოუქსისა და მისი ქართველი ცენტრის ზაზა ფაჩულიას შესახებაა ნათქვამი.**

საკმარისი იყო, რომ ჯორჯიელთა ლიდერებს ალ ჰორფორდსა და მარვინ უილიამსს ტრავმები მიეღოთ, რომ გუნდის თავკაცმა მაიკ ვუდფორდმა დიდი ნდობა გამოუცხადა „ჯვაროსანთა" კაპიტანს და მას სასტარტო ხუთეულში მოუძებნა ადგილი.

18 ქულა, 4 მოხსნა, 1 შედეგიანი გადაცემა და 1 დაფარება – ასეთია ჩვენი თანამემამულის მონაგარი ჩიკაგო ბულზთან სტუმრად მოგებულ უკანასკნელ მატჩში – 105:102. ამჟამად ატლანტელებს 25 მოგება და 16 წაგება აქვთ. ხვალ ისინი მილუოკი ბაქსს უმასპინძლებენ.

ინტერნეტიდან

## ვალუევის საქმე სასამართლოში დაბრუნდა



**პეტერბურგის საქალაქო სასამართლომ კალინინის რაიონულ სასამართლოს დაუბრუნა სპორტკომპლექსის მცველის იური სერგეევის საქმე, რომელიც 2006 წლის დასაწყისში მსოფლიო ჩემპიონმა ნიკოლოზ ვალუევმა სცემა.**

შეგახსენებთ, რომ კონფლიქტის მიზეზი სერგეევის მიერ სპორტსმენის ცოლისადმი მიცემული მითითება გახდა, რომელსაც მანქანის გადაყენება სთხოვა, ვალუევმა კი ეს შეურაცხყოფად მიიღო და 30 ათასმანეთიანი ჯარიმა დაიმსახურა, რასაც მოგვიანებით სამოქალაქო სარჩელის სახით 100 ათასმანეთიანი სასჯელი დაემატა.

## აფრები რობინიომაც აუშვა



**კლუბის საბაზო ბანაკიდან ბრაზილიაში თვითნებურად გამგზავრებისათვის მანჩესტერ სიტის ხელმძღვანელობა 320 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმებს რობინიოს.**

ვარსკვლავმა თავისი საქციელი ოჯახური მდგომარეობით ახსნა და დასძინა, რომ ამის შესახებ თითქოს კლუბის მესვეურებიც გააფრთხილა, თუმცა ფაქტი სხვა რამეზე მეტყველებს. ამის შესახებ სიტის აღმასრულებელმა დირექტორმა გარი კუკმა განაცხადა.

## შერიგება გადაწყვიტა



**ეს მკერდსავსე მდედრი ცნობილი ინგლისელი მოდელი კეტი პრაისი გახლავთ, რომელმაც ძველ მეგობართან ვიქტორია ბექჰემთან შერიგება გადაწყვიტა.**

იგი ფეხბურთელებთან რომანებით გამოირჩევა. შეგახსენებთ, რომ თავიდან კეტი ტედი შერინგემს ხვდებოდა, ხოლო მოგვიანებით დუაიტ იორკთან ბღლარძუნი მისგან ბავშვის გაჩენით აღნიშნა.



## საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა" აცხადებს აუქციონს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ჩამოწერილი და ზენორმატიული მატერიალურ-ტექნიკური ქონება.**

**ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.**

| ლოტი #1 | საქონლის დასახელება | ზომის ერთ. | სავარაუდო რაოდენობა | საწყისი ღირებულება ლარი | ბიჯი ლარი |
|---|---|---|---|---|---|
| 1.1 | შავი ლითონის და თუჯის დაუმუშავებელი შერეული ჯართი | ტონა | 544 | 51200 | 300 |
| 1.2 | სატვირთო მანქანა | ერთ. | 20 | 31700 | |
| | სულ: | | | 82900 | |

**გამყიდველი სსიპ სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"**

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია: საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.**

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისათვის არის 10 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის – 20 ლარი, გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ფილიალში, ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის №120236700.

მყიდველი ვალდებულია აუქციონზე გამარჯვებულად აღიარებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 2009 წლის 23 იანვრიდან 2009 წლის 22 თებერვლის ჩათვლით, 10 საათიდან 19 საათამდე. ხოლო 23 თებერვალს 10 საათიდან 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სსსტც „დელტა", ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 23 თებერვალს 12 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული, ოთახი №90.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

– ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;

– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;

– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

– სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაშიძ.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტას" მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**
**ტელ: 95-28-28.**

**მის: ქ. თბილისი, მნათობის ქ . №73, მე-2 სართული.**

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ობიექტებზე 16 ლოტად**

| № | სარეალიზაციო ობიექტის ადგილმდებარეობა | სარეალიზაციო ობიექტის დასახელება | სარეალიზაციო ობიექტის ფართი | სარეალიზაციო ობიექტის საწყისი გასაყიდი ფასი |
|---|---|---|---|---|
| 1. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №1 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.261.01.505) | 57,85 კვ.მ. | 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი |
| 2. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №1 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.261.01.501) | 68,03 კვ.მ. | 41 (ორმოცდაერთი) ლარი |
| 3. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №1 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.261.01.503) | 61,32 კვ.მ. | 37 (ოცდაჩვიდმეტი) ლარი |
| 4. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №1 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.261.01.504) | 57,80 კვ.მ. | 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი |
| 5. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №1 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.261.01.502) | 64,28 კვ.მ. | 39 (ოცდაცხრამეტი) ლარი |
| 6. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №1 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.261.01.506) | 61,32 კვ.მ. | 37 (ოცდაჩვიდმეტი) ლარი |
| 7. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №2 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.087.01.510) | 63,52 კვ.მ. | 413 (ოთხასცამეტი) ლარი |
| 8. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №2 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.087.01.507) | 60,47 კვ.მ. | 393 (სამასოთხმოცდაცამეტი) ლარი |
| 9. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №2 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (72.02.42.087.01.509) | 48,7 კვ.მ. | 317 (სამასჩვიდმეტი) ლარი |
| 10 ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №2 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.087.01.508) | 64,25 კვ.მ. | 418 (ოთხასთვრამეტი) ლარი |
| 11. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №3 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.086.01.500) | 64,26 კვ.მ. | 373 (სამასსამოცდაცამეტი) ლარი |
| 12. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №3 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.086.01.501) | 62,31 კვ.მ. | 362 (სამასსამოცდაორი) ლარი |
| 13. ლოტი | სოფელი წილკანი, ხელოვნების დასახლება | №3 კორპუსში მდებარე საცხოვრებელი ბინა (საკ. კოდი 72.02.42.086.01.502) | 48,71 კვ.მ. | 283 (ორასოთხმოცდასამი) ლარი |
| 14 ლოტი | სოფელი წეროვანი | №15-ე კორპუსში მდებარე №15-ე საცხოვრებელი ბინა | 66,8 კვ.მ. | 133 (ასოცდაცამეტი ლარი) |
| 15. ლოტი | სოფელი ძველი ქანდა | 320 მმ-იანი რკინის მილი | 2200 გრძ.მ. | 66 000 (სამოცდაექვსი ათასი) ლარი |
| 16. ლოტი | სოფელი წეროვანი | 1200 მმ-იანი რკინის მილი | 400 გრძ.მ. | 52 000 (ორმოცდათორმეტი ათასი) ლარი |

**აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 5%-ს**
**აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 30 ლარს**
**აუქციონის „ბე“ შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 5 %-ს.**

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. №73□აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

„ბე“-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. №33030024 სახალხო ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ.№73.**
**ტელ: 8(27-32) 51-27-27: 899 22 65 33 899 34-50-85**

***მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.***

## გახსენება

# პეტრე ნოდია



საოცარი სისწრაფით გაირბინა ერთმა წელმა უშენოდ, ასე გვგონია ისევ ჩვენთან ხარ, მაგრამ ამაოდ. ძნელია სიტყვით გადმოსცე ის ტკივილი, რომელიც შენმა გარდაცვალებამ მიაყენა შენს ოჯახს და დაგვიტოვე დიდი გულისტკივილი, სევდა და სიყვარული. ძნელია უშენობა, შენ ხომ ღირსეული მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა იყავი, საოცრად კეთილი და გამორჩეული. ყველას დამხმარე და გვერდში მდგომი. ღმერთმა უამრავი კარგი თვისება მოგანიჭა. შენს უკვდავ სახელს დავიწყება არ უწერია. ყველას ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ, შენს მეუღლეს, ქალიშვილს, შვილიშვილს, შენს ნათესავებს. ვიხსენებთ ერთად გატარებულ დღეებს და ცრემლი გვდის. შენი დათესილი სიკეთე შენს მონაგარს დახვდეს ცხოვრებაში წინ.

უფალს შევთხოვთ! ყველა ჩვენგანის სიყვარულმა, ლოცვამ და დანთებულმა სანთლებმა გაგინათოს გზა მარადიულ სასუფეველში.

შენი ოჯახი



მეუღლე მადონა კაკაურიძე, შვილები ანა, თეონა, გვანცა, სიძეები ნიკოლოზ ფირცხალაიშვილი, გოგიტა ჟღენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ ჯაოშვილი

პანაშვიდი: 23, 24 I, მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი, მე-3 კვარტალი, მე-15 კორპუსი, მეორე სადარბაზო. გამოსვენება საბურთალოს სასაფლაოს ეკლესიიდან 25 I, 14 სთ. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

---

მამა გივი ჯაოშვილი, ძმები გოგი, ლევან ჯაოშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვახტანგ ჯაოშვილი

---

საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა კლუბის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი

ვახტანგ ჯაოშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ზესტაფონის რკინიგზის №7 საშუალო სკოლის 1970 წლის კურსდამთავრებული თანაკლასელები სამძიმარს უცხადებენ გიორგი და ლევან ჯაოშვილებს ძმის

ვახტანგ ჯაოშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მალხაზ მინაშვილი, გოგი საყვარელიძე, ოთარ შაორშაძე, ამირან ღიბრაძე, ამირან ღავთაძე, ავთანდილ ღავთაძე, ვაჟა წასიძე, თემურ ლაბაძე, ვაჟა აბაშიძე, ზურაბ მხატვრიშვილი, მერაბ ნებიერიძე გულწრფელად თანაუგრძნობენ გოგი და ლევან ჯაოშვილებს ძმის

ვახტანგ ჯაოშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დარგის ღირსეული და დამსახურებული მუშაკი, მეგობრობაში გამორჩეული პიროვნება

ოთარ მოზაიძე

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს და ყველა ახლობელს. დაკრძალვა 25 I, სოფ. პატარძეულში.

## ინფორმაცია

# გადახდისუუნარო მოქალაქეებს უფასოდ მოემსახურებიან

**იუსტიციის სამინისტროს იურიდიული დახმარების სამსახურმა მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირება დაიწყო.**

**როგორც იურიდიული დახმარების სამსახურის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრი წარმოადგენს იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზას, რომელშიც კერძო ადვოკატები ნებაყოფლობით დარეგისტრირდებიან და საბიუჯეტო ანაზღაურების საფუძველზე გადახდისუუნარო მოქალაქეებს უფასოდ მოემსახურებიან.**

**რეესტრის ფორმირება ორ ეტაპად წარიმართება. პირველ ეტაპზე კანდიდატები კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს წარმოადგენენ, ხოლო მეორე ეტაპზე კი მათთან გასაუბრება გაიმართება. მოწვეულ საზოგადოებრივ ადვოკატთა რეესტრის ფორმირება რეგიონალური პრინციპით მოხდება.**

ინტერპრესნიუსი

კოლორიტი

# ჩვენო მშვენიერო ლალი!



ჩემი არცთუ ისე ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ადამიანთა ისეთ წრეშიც მოვხვედრილვარ, ვინმეზე ირონიით რომ უთქვამთ, ნაღდი არტისტიაო. არადა, არტისტობა და პოეტობა ქართველთა გენეტიკური კოდის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია. სწორედ ამიტომ გვყავს ამ პატარა ერს ამდენი დიდი არტისტი და პოეტი.

ამ ორი ქართული თვისების განსახიერებაა ჩვენი ლალი აბშილავა-ფალიანი. იგი ნაღდი არტისტი და ნამდვილი პოეტია, თანაც, ჩვენი ძმა პოეტისა და მხატვრის ერთგული მეუღლე და ორი დამწყები პოეტის მზრუნველი და მოსიყვარულე დედა. მისი შესანიშნავი ოჯახი იმდენადაა გაჯერებული პოეზიით, არტისტიზმითა და მხატვრობით, რომ XIX საუკუნის თბილისის ბევრ ცნობილ სალონს არ ჩამოუვარდება.

გავიგე, საიუბილეო მრგვალ თარიღს უახლოვდებაო. მყოფნის რაინდობა, რომ არ ვკითხო, რამდენი წლისა ხდები, ქალბატონო ლალი-მეთქი, მაგრამ თუ იმდენისაა, რამდენისაც გამოიყურება, მე, სამოცს უკვე გადაცილებულ კაცს, მისი ასაკიც მშურს.

საიუბილეო თარიღს გილოცავ, ძვირფასო ლალი, ჩვენი პოეტურ-არტისტულ-მხატვრული საძმოს მშვენიერო დაო!

ილია ბარამიძე

## ერთ ქეიფად ღირდა

*მიჟღურტულებს გულ-ყვითელა ჩიტი,*
*ნუ მოიწყენ, შეურიგდი რითმებს,*
*მზეზე იწვი? წამობრძანდით ჩრდილში,*
*რომ ლექსები ტანში ისევ გცრიდეს.*

*ძველებურად ჩამოჰკარი ჩანგს და*
*ააკვნესე ლექსი ნაღვინარი,*
*ლეკურით და ცეკვა-ცეკვით გზაზე*
*ალიონსაც შეუკეთე კვარი,*

*მერე დარდი ნუ გექნება, კარგო,*
*თუ ვერ მიწვდი ოქრო-ვერცხლის ქისას,*
*მეარღნის და ფიროსმანის ბედი*
*წუთისოფლის ერთ ქეიფად ღირდა...*

ლალი აბშილავა-ფალიანი

ვინ ვინ არის?



## იპოვე ათი განსხვავება

**ინდონეზიელი** ფოტოგრაფი ილჰამ ანასი (მარჯვნივ) გახდა ადგილობრივი ტელევიზიის ვარსკვლავი. იგი საოცრად ჰგავს ამერიკის შეერთებული შტატების ახალ პრეზიდენტს ბარაკ ობამას (მარცხნივ) და ახლა ცხოვრების სახსარს პოულობს იმით, რომ იღებენ რეკლამასა და გასართობ შოუებში.

ინფორმაცია

## ახალი გზის მშენებლობა 15 მლნ. ლარი დაჯდება

კახეთის რეგიონში 119 კმ. საავტომობილო გზას და ერთ ხიდს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება.

საგზაო დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნულ სამუშაოებზე სულ 50 მლნ. 220 ათასი ლარი დაიხარჯება.

ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 15 მლნ. ლარია გამოყოფილი.

ჯი-ეიჩ-ენი

## განცხადება

### „მესას“ ყრილობის მოწვევის თაობაზე

2009 წლის 29 იანვარს დღის 3 სთ-ზე შედგება მშენებლობის ექსპერტთა საქართველოს ასოციაციის („მესა“ძ მე-3 ყრილობა.

„მესას“ წევრების დასწრება სავალდებულოა.

რეგისტრაცია დაიწყება 14:30 სთ-ზე.

**მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6, სასტუმრო „ბომონდ გარდენი“, I სართული.**

„მესას“ გამგეობა

ინფორმაცია

## თელავის ხელისუფლება ფულს ფარულად იჯიბავდა

**თელავის** ხელისუფლება გამგეობის და საკრებულოს თანამშრომლებზე სახელფასო დანამატების გაცემას ფარულად ახორციელებს, რადგან კანონი მსგავსი ხასიათის დანამატს არ სცნობს. ამის შესახებ ინფორმაციას „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“ ავრცელებს.

ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2008 წელს ასეთი დანამატები თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ოფიციალურად არ ჩანდა. განაცხადი გაკეთებული იყო წლიურ 327000 ლარზე, ხოლო თა-



ვად ბიუჯეტში ასახულია 443000 ლარი, სხვაობა შეადგენს 116000 ლარს. მსგავსი უზუსტობა იყო ბიუჯეტის ცვლილებების განხორციელებამდე საკრებულოს სახელფასო კუთხითაც. მონაცემების მიხედვით 2008 წლის ბიუჯეტის დანართ №9-ში (ბიუჯეტის პირველი ვარიანტი) ხელფასის წლიური ფონდი იყო 96720 ლარი, ბიუჯეტში კი დაფიქსირებულია 105000 ლარი. სხვაობა შეადგენდა 8280 ლარს.

აღნიშნულთან დაკავშირებით თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობაში კომენტარი არ გააკეთეს.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

## ძვირფასო მკითხველო!

ჩვენს გაზეთში თქვენთვის საჭირო განცხადების ან რეკლამის განსათავსებლად შეგიძლიათ ისარგებლოთ იმეილით ან ფაქსით. ინფორმაციის მიღებისთანავე დაგიკავშირდებათ ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი და მოგაწვდით ყველა საჭირო მონაცემს.

იმეილი: sakresp@ayety.ge

ტელეფონი: 98-65-87 (89932.85.76ძ. ფაქსი: 98-65-87.

ანეკდოტები

— ექიმო, რამდენ ხანს შეიძლება უთვინოდ ცხოვრება?

— თქვენ რამდენი წლისა ხართ?

* * *

— ექიმო, ღამით ვერაფრით ვერ ვიძინებ, რადგან ერთბაშად ათას რამეზე ვფიქრობ!



— მაშინ გირჩევთ, სასაქმებელი ზეთი დალიოთ.

— და მერე უცებ დამეძინება?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ სამაგიეროდ მხოლოდ ერთ რამეზე იფიქრებთ.

* * *

ექიმი ავადმყოფს პულსს უსინჯავს.

— როგორაა საქმე? — ეკითხება ავადმყოფი.

— ყველაფერი კარგადაა, — უპასუხებს ექიმი. — როგორ გძინავთ?

— კარგად.

— მადა გაქვთ?

— კი.

— შესანიშნავია, ახლა წამალს გამოგიწერთ და ყველაფერი — პულსი, ძილი, მადა ერთი ხელის მოსმით გაქრება.

* * *

— რამდენიმე ექიმთან ვიყავი და არც ერთი არ ეთანხმება თქვენს დიაგნოზს.

— რას ვიზამთ, დაველოდოთ გაკვეთას.

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.